სასამართლო სისტემა

2020

ანგარიში მომზადებულია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მიერ

სარჩევი

შესავალი 3

ძირითადი მიგნებები 5

თავი I. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები 8

1.1. COVID-19-თან დაკავშირებული ცვლილებები 8

1.2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებული ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 13

თავი II. საკადრო ცვლილებები 20

2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 20

2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო 23

2.2.1. სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა 23

2.2.2. სასამართლოს პალატების დაკომპლექტება 25

2.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 27

2.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნა 27

2.3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა 28

2.3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის წესთან დაკავშირებით 29

თავი III. მოსამართლეთა გადაადგილება პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში 35

თავი IV. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა 39

4.1. ზოგადი ინფორმაცია 39

4.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 41

4.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა 43

თავი V. მნიშნელოვანი საქმეები 47

5.1. სამოქალაქო აქტივისტების საქმეები 47

5.2. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქმეები 50

5.3. საარჩევნო დავები 54

დასკვნა 57

რეკომენდაციები 58

შესავალი

წინამდებარე ანგარიშის მიზანია 2020 წელს ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონავირუსის მოქმედების პირობებში სასამართლო სისტემაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების შეჯამება და კრიტიკული შეფასება. ანგარიში შეეხება წლის განმავლობაში მიღებულ საკანონმდებლო აქტებსა თუ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას (მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის ფარგლებში), საერთო სასამართლოებში წინასაარჩევნოდ მოსამართლეთა თანამდებობრივ გადაადგილებას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარისა და პალატების თავმჯდომარეების არჩევას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნას, პანდემიის პირობებში საერთო სასამართლოების ფუნქციონირებასა და არჩევნების კონტექსტში სასამართლოების მიერ განხილულ/მიმდინარე გახმაურებულ საქმეებს (მათ შორის საარჩევნო დავებსაც).

2020 წელს საქართველო ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მსგავსად, მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა. საზოგადოებას პრიორიტეტების გადაფასება, მაღალი თვითშეგნების გამოჩენა და ცხოვრების ახალ რეჟიმზე გადასვლა მოუწია. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და მრავალთვიანი მკაცრი შეზღუდვების, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის არსებობის შედეგად დიდი ზიანი მიადგა ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესსექტორს, მნიშვნელოვან ამოცანად იქცა ადამიანის უფლებებსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზანს შორის ბალანსის შენარჩუნება.

პანდემიით გამოწვეულ შეცვლილ ვითარებასთან ადაპტირება მოუწია სასამართლო სისტემასაც. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამჯერ (ერთხელ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, ხოლო ორჯერ მისი გაუქმების შემდეგ) მიიღო რეკომენდაციები ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ამ პერიოდში სასამართლოები სხდომების დისტანციური რეჟიმით ჩატარებაზე გადავიდნენ, ამასთან, მნიშვნელოვნად შეიზღუდა სხდომაზე დამსწრე პირთა ოდენობა და მოქალაქეებს დისტანციური სერვისებით სარგებლობის რეკომენდაცია მიეცათ.

სასამართლო სისტემაში შექმნილი ახალი რეალობა და სხდომათა დიდი ნაწილის დისტანციურ რეჟიმში ჩატარება უარყოფითად აისახა სამართლიანი სასამართლოს

უფლების რეალიზებაზე, მათ შორის, სასამართლო განხილვის საჯაროობაზე. დაინტერესებულ პირთათვის სხდომებზე დასწრების შესაძლებლობის შეზღუდვა, ისევე როგორც, ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა.

2020 წელი გამორჩეული იყო სასამართლო სისტემაში საკანონმდებლო და საკადრო ცვლილებების, მოსამართლეთა გადაადგილების, სტრატეგიული მნიშვნელობის თანამდებობების დაკავების თვალსაზრისით, რაც დროში დაემთხვა და სავარაუდოდ საპარლამენტო არჩევნებთან იყო დაკავშირებული. მნიშვნელოვანად შეიცვალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა. თანამდებობა დატოვეს, ერთი მხრივ, არამოსამართლე წევრმა, რომელიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს, ე.წ. „კლანს“ ღიად უპირისპირდებოდა და საჯაროდ საუბრობდა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლე წევრებმა, რომლებიც სწორედ ზემოთ აღნიშნულ ჯგუფად მოიაზრებოდნენ. ვაკანტურ ადგილებზე კი ისეთი პირები დაინიშნენ/არჩეულ იქნენ, რომლებიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან არიან აფილირებულნი. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახლად დანიშნული მოსამართლეებისგან შემდგარმა პლენუმმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2 წევრი დანიშნა, რომლებიც ასევე აფილირებულნი არიან გავლენიან ჯგუფთან. ამრიგად, სასამართლო სისტემაში 2020 წელს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ კლანმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკუთარი პოზიციების გამყარება, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე გავლენების გავრცელება მოახერხა.

2020 წლის განმავლობაში სასამართლოს არაერთ გახმაურებულ საქმეზე მოუწია მსჯელობა, მათ შორის იყო სამოქალაქო აქტივისტების საქმეები, რომლებიც 2019 წლის 20 ივნისიდან მოყოლებული დღემდე საპროტესტო აქციებს მართავენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ასევე ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული საქმეები, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან და საარჩევნო პროცესის დროს გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებული საარჩევნო დავები. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი და პროცესის მონაწილე მხარეები ჩამოთვლილ საქმეებში ბრალდების დაუსაბუთებლობასა და პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებდნენ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დამატებით კითხვებს აჩენდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხთან დაკავშირებით.

ძირითადი მიგნებები

1. 2020 წელს პანდემიის პირობებში მართლმსაჯულების სისტემის დისტანციურ რეჟიმში გადასვლა მრავალ გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. არსებულმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისა და პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ტექნიკურმა გაუმართაობამ, მხარეთა გამოუცდელობამ (მსგავსი სერვისების გამოყენებაში) და სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულის საკუთარ წარმომადგენელთან კომუნიკაციის გართულებამ უარყოფითი გავლენა იქონია სასამართლო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. ასევე, რიგ სხდომათა გადადებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ისედაც გადატვირთული სასამართლო სისტემა. ხოლო სასამართლო სხდომებზე მონიტორების დასწრების შეზღუდვა უარყოფითად აისახა სასამართლოს გამჭვირვალობაზე.

2. დისტანციურად გამართული სხდომების მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა არაერთი ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ჯეროვან სარგებლობაზე. ხარვეზებს შორის არის:

   2.1. გამართული/საკმარისი ინფრასტრუქტურის არ არსებობა;

   2.2. მოწმეთა დაკითხვის პროცესში სასამართლოს მხრიდან მოწმეთა სანდოობის გადამოწმება (მაგ, შესაძლო ზეგავლენა, წინასწარ დაწერილი ტექსტის წაკითხვა), ხოლო საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი პირების პროცესში მონაწილეობისას, მათ ნებაზე ზემოქმედებისგან დაცვის საკითხი;

   2.3. პროცესში დისტანციურად მონაწილე ბრალდებულსა და მის წარმომადგენელს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის შეუძლებლობა;

   2.4. პროცესში დისტანციურად მონაწილე პირებისათვის პროცესის მონაწილე სხვა პირებზე დაკვირვება და მათი საუბრის აღქმა;

   2.5. არათანმიმდევრული პრაქტიკა პროცესზე დამკვირვებლების/მონიტორების დასწრებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც, შექმნილი ვითარების გამო სხდომების დისტანციურად გამართვა ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ალტერნატივად მიიჩნევა, სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოს დისტანციურად გამართულ სხდომებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. საქართველოს პარლამენტის მიერ 30 სექტემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებათა პაკეტი დამტკიცდა,

რომელიც მიუხედავად რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, საერთო ჯამში უარყოფითად შეფასდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახალხო დამცველის მიერ. საყურადღებოა, რომ ცვლილებების პაკეტში გათვალისწინებული არ იყო ვენეციის კომისიის 2019 წლის დასკვნაში არსებული შენიშვნები. საქართველოს პარლამენტმა იგი ვენეციის კომისიის ახალი დასკვნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო.

4. 2020 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრის თანამდებობა დატოვა არამოსამართლე წევრმა, ანა დოლიძემ, რომელსაც საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა სასამართლო სისტემის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში თავისი კრიტიკული შეფასებებისა და სასამართლო სისტემის მანკიერებებზე ღიად საუბრით. ამასთან, იუსტიციის საბჭოს წევრებად არჩეული იქნენ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან აფილირებული პირები, რომლებიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ ჯგუფის ინტერესების გამტარებელად მოიაზრებიან. ამრიგად, მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა საპარლამენტო არჩევნებამდე მოახერხა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე თანამდებობების დაკავება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და შემდგომში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც სასამართლო სისტემაში მოქმედ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირი, ნინო ქადაგიძე გახდა, რომლის სახელი 2018 წლის დეკემბერში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ნომინირებულ ე.წ. „მოსამართლეთა 10-კაციან სიაშიც“ ფიგურირებდა. გარდა ამისა, ამ სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებად არჩეული არიან ამჟამად მოქმედი ხელისუფლებისა თუ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენელი/მასთან აფილირებული პირები. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო სისტემაში ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის თანამდებობა სწორედ ამ ჯგუფს უკავია, რაც ზეგავლენებისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებობას ეჭვქვეშ აყენებს და ამცირებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას.

6. 2020 წელს ქვეყანაში კორონავირუსით გამოწვეული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, დახურულ კარს მიღმა, დაინტერესებული პირების ჩართულობის გარეშე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად 2 მოსამართლე დანიშნა, რომელთაც წარსულში გარკვეული შემხებლობა/კავშირი ჰქონდათ სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან. შესაბამისად, ამ ჯგუფმა მოახერხა თავისი გავლენების გავრცელება და გამყარება არა მხოლოდ უზენაეს სასამართლოში, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოშიც. სასამართლოზე, რომელიც წლების განმავლობაში საზოგადოების შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობდა. აღნიშნული ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია და არსებობს მოლოდინი, რომ ცვლილებები მომავალში მნიშვნელოვნად დააზიანებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეპუტაციასა და გადაწყვეტილებების ხარისხს.

7. 2020 წელი აქტიური იყო პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა გადაადგილების თვალსაზრისითაც, რაც დიდი ალბათობით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. აღნიშნული გადაადგილება შესაბამისი კანონმდებლობის ხარვეზების ბოროტად გამოყენების საფუძველზე ხორციელდებოდა სასამართლოების/პალატების/კოლეგიების ისეთი პირებით დასაკომპლექტებლად, რომლებიც აფილირებულნი არიან კლანთან, ან მათ მიმართ კლანის მიერ გამოცხადებული ნდობა ცალსახად მიუთითებს ამ მოსამართლეების კლანთან კავშირსა და მათ მიმართ ლოიალურობაზე.

8. მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე სხდომის შესახებ ინფორმაციისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების ვადა შემცირდა სწორედ იმ მოტივით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო „ვერ ახერხებდა“ ამ ვადის დაცვას, ეს უკანასკნელი სხდომების შესახებ ინფორმაციასა და დღის წესრიგს კვლავ კანონდარღვევით აქვეყნებს.

9. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის ფარგლებში ერთ-ერთი კანდიდატის, ქეთევან მესხიშვილის, საჯარო მოსმენისას საერთო სასამართლოების ისტორიაში უკანასკნელი წლების განავლობაში პირველად დაფიქსირდა მოქმედი მოსამართლის მიერ სასამართლო სისტემის საჯარო კრიტიკა განსხვავებული აზრის არარსებობისა და გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებასთან მიმართებით, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

10. წინასაარჩევნო პერიოდში და მანამდეც, 2019 წლის ივნისის აქციების შემდეგ სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების წინააღმდეგ წარმართული სასამართლო პროცესები, მათი განხილვის ვადების, გამოძიების დაწყების მომენტისა და ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით აჩენდა პოლიტიკურად მოტივირებული დევნის განცდას.

თავი I. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

1.1. COVID-19-თან დაკავშირებული ცვლილებები

2020 წლის მარტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდაფეთქება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა, რასაც წინ უსწრებდა ჩინეთის გარეთ სხვადასხვა სახელმწიფოებში ინფიცირებულთა რაოდენობის სწრაფი ზრდა[1]. აღნიშნული ორგანიზაციის გენერალური დირექტორის განცხადების თანახმად COVID-19-ის გავრცელების შესანელებლად აუცილებელი იყო გარკვეული ზომების გამკაცრება[2]. რეკომენდაციების თანახმად საჭირო იყო სოციალური დისტანცირების და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ სექტორთა დახურვას ან შემცირებას, ადამიანური რესურსის რელოკაციას გულისხმობდა[3]. შესაბამისი რეაგირების მიზნით კორონავირუსის მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა[4]. ბრძანების თანახმად საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადად განისაზღვრა 1 თვე.[5]

ამავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის საფუძველზეც შეიზღუდა კონსტიტუციის მეორე თავით დაცული სხვადასხვა უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ჩამონათვალში სამართლიანი სასამართლო უფლება არ იყო მოხსენიებული, დეკრეტის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების გამართვა შესაძლებელი გახდა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით."[6]

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები მიიღო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომაც. ჯერ კიდევ 2020 წლის 13 მარტს, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო

---

[1] იხილეთ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის განცხადება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდაფეთქების პანდემიად გამოცხადების შესახებ - https://bit.ly/3qFghey

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის ბრძანება N1. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tn6Hzd

[5] იქვე.

[6] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის ბრძანება N1. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tn6Hzd

რეკომენდაციები[7] და სასამართლო სისტემამ საქმეთა განხილვის დისტანციურ რეჟიმზე ეტაპობრივად დაიწყო გადასვლა. მართალია, ამ ეტაპზე რეკომენდაციები ითვალისწინებდა სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა რაოდენობის შეზღუდვას, თუმცა ეს არ გულისხმობდა პროცესების სრულად დახურვას და მასზე დასწრების აბსოლუტურ შეზღუდვას. მიუხედავად ამისა, მიმდინარე პროცესებზე ორგანიზაციის დაკვირვებამ აჩვენა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა მხრიდან რეგულაციების საპირისპიროდ მოქმედებას და სხდომებზე დასწრების სრულ შეზღუდვას.[8]

ხსენებული პრობლემა აღნიშნულია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის "უფლებები საქართველო" მიერ მომზადებულ ანგარიშში, რომლის მიხედვითაც „იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიმდინარე წლის 5 მაისს მიღებული პასუხით, პროექტს უარი ეთქვა ონლაინ სხდომებზე დაშვებაზე. წერილი დასაბუთებული იყო იმით, რომ „სასამართლო სისტემა მოკლებულია შესაძლებლობას, დისტანციურ პროცესებში ჩართოს მონიტორები". [...] აღნიშნულის შემდეგ, პროექტმა ინდივიდუალურად მიმართა მოსამართლეებს დისტანციურ პროცესებზე დასწრების მოთხოვნით. მოსამართლეთა ძალიან მცირე რაოდენობამ განაცხადა თანხმობა ონლაინ სხდომებზე მონიტორების დასწრებაზე, თუმცა უმეტესობამ უარის მიზეზად დაასახელა მრავალი პირის ჩართულობით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზები."[9] დამატებით, ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელების ფარგლებში გამოიკვეთა ისეთი ხარვეზები, როგორიცაა:

- დახურული სხდომების ელექტრონულად ჩატარების შეუძლებლობა, ვინაიდან არ არსებობდა რაიმე გარანტია, რომ სხდომის მიმდინარეობა იქნებოდა ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის;
- 70 წელს გადაცილებულ პირებს, რომლებსაც საგანგებო ვითარების დროს ეკრძალებოდათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება, სასამართლო პროცესში მონაწილეობის ერთადერთ საშუალებად დისტანციურად ჩართვა რჩებოდათ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს არ აქვთ კომპიუტერული მოწყობილობების სათანადოდ გამოყენების უნარ-ჩვევები, იძულებული გახდნენ დახმარებისთვის სხვებისთვის მიემართათ;

---

[7] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35xDzuu;

[8] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" განცხადება - https://bit.ly/3pKgTPT; ანალოგიურ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული სახალხო დამცველის ანგარიშშიც, გვ.8. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j5VUEy

[9] უფლებები საქართველო, ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, შეფასების ანგარიში გვ. 21. ელექტრონულად ხელმისაწვდომია : https://bit.ly/3p2uKRi;

- დაკითხვის დროს მოწმისთვის წერილობითი ან/და ნივთიერი მტკიცებულების დემონსტრირება, ასევე წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა, იმ პირობებში, როდესაც დედანი სასამართლოში იყო;

- რიგ შემთხვევებში, მხარეები, მოწმეები და ზოგჯერ თარჯიმანი არ ფლობდა სათანადო ტექნიკას/აღჭურვილობას ან ჰქონდა დაბალი ხარისხის (სისწრაფის) ინტერნეტი, რაც აძნელებდა, ან აყოვნებდა პროცესში მათ მონაწილეობას. თავის მხრივ, სასამართლო პროცესში პირის დროულად ჩაურთველობა იწვევდა სხდომების დაგვიანებით დაწყებას (რაც შემდგომში გასამართ სხდომებზეც აისახებოდა) ან სხდომის გადადებას.

რეგულაციების მეორე პაკეტი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ მიიღო, კერძოდ, 2020 წლის 5 ივნისს დამტკიცებული რეკომენდაციების მიხედვით[10], უპირატესობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას უნდა მინიჭებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იყო სასამართლოს წინაშე პროცესის მონაწილე პირთა პოზიციების წარმოდგენა, მხარეების ჩართვა დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა მომხდარიყო. აღნიშნულ რეკომენდაციებში საბჭომ ცვლილება 15 სექტემბერს შეიტანა. ახალ რეგულაციებს არსებითად არ შეუცვლია წინამორბედი რეკომენდაციების შინაარსი, მხოლოდ საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი - „უპირატესობა მიენიჭოს“, ჩაანაცვლა საბჭოს მიერ რეკომენდაციის გაცემამ საერთო სასამართლოებმა უზრუნველყონ, როგორც კანონმდებლობის დაცვით საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ასევე პროცესში მონაწილე პირთა დისტანციურად ჩართვა.

მოსამართლეების მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან გადახვევა და სასამართლო სხდომებზე დასწრების სრული აკრძალვა არ ყოფილა ერთადერთი ხარვეზი, რომელიც პანდემიის დროს სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას გამოიკვეთა. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშში ნათქვამია, რომ დისტანციური წესით გამართული 279 სხდომის მონიტორინგის *„შედეგად გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი, რომელიც მეტწილად განპირობებულია სხდომების დისტანციურობით და საფრთხეს უქმნის ან შეიძლება უქმნიდეს, როგორც ბრალდებულისა თუ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობას, ისე სასამართლოს ჯეროვან ფუნქციონირებასა და საჯარო მიზნების მიღწევას.“*[11]

[10] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36AEyuq

[11] იხილეთ დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LDY6Xo;

ასევე, სახალხო დამცველის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ისეთ ხარვეზებზე, როგორიცაა[12] :

- პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო სხდომათა დაგვიანებით დაწყება (მათ შორის 1 საათზე მეტი ხნით), ხოლო მიმდინარეობისას ისეთი ტექნიკური ხარვეზების არსებობა, რომელიც შეუძლებელს ხდიდა პროცესის ნორმალურ რეჟიმში მიმდინარეობას, რის გამოც საჭირო ხდებოდა სხდომათა გადადება;

- ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის დამყარების შეუძლებლობა;

- სასამართლოს მიერ მოწმეთა სანდოობის გადამოწმება. ტექნიკური გაუმართაობის გამო, მთელ რიგ შემთხვევებში, ბრალდებულებს არ ეძლეოდათ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების და ზოგადად მისი პროცესში მონაწილეობის სათანადოდ აღქმის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ისინი ცხადად გამოხატავდნენ სურვილს თვალყური ედევნებინათ მოქმეთა დაკითხვის პროცესისათვის.

სახალხო დამცველის ანგარიშის „დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“[13] თანახმად, შეიზღუდა არა მხოლოდ საჯაროობის პრინციპი არამედ, ასევე დაირღვა საპროცესო უფლებებიც. ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია, როგორც სხდომათა გადადება, ასევე სმენადობისა და ხილვადობის პრობლემები. შეიზღუდა ბრალდებულისა და მისი ადვოკატის კომუნიკაციის შესაძლებლობაც. დაცვის მხარეს უმეტეს შემთხვევაში არ აქვს კონფიდენციალურად ინფორმაციის გაცვლისთვის აუცილებელი პირობები, რადგან მათი პირადად შეხვედრა შეზღუდულია ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალება ახორციელებს ჩაწერას[14].

პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტით დადგენილი დროებითი წესის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხდომების დისტანციურად გამართვის საკანონმდებლო საფუძველს აღარ ითვალისწინებდა. რის გამოც, 2020 წლის 22 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცვლილებების თავდაპირველი ვარიანტი პროცესების დისტანციურად გამართვასთან დაკავშირებით ბლანკეტური მიდგომით ხასიათდებოდა, კერძოდ, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებში ექცეოდა ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე პროცესის დისტანციურად ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, ხოლო პროცესის მონაწილე პირებს არ

[12] იქვე, გვ. 5

[13] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, “დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში“, 2020. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j5VUEy

[14] იქვე.

ჰქონდათ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან მასზე უარის თქმის შესაძლებლობა. აღნიშნული პროექტის საპირისპიროდ, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტს მიმართა წინადადებით და შესთავაზა რეკომენდაციები, რომლებიც, თავის მხრივ, გამომდინარეობდა და შეესაბამებოდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და ევროსაბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის სპეციალური კომისიის დოკუმენტებს.[15]

საბოლოოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა დროებითი წესი 332[5] მუხლის სახით [16] (რომლის მოქმედების ხანგრძლივობაც შემდგომში რამდენჯერმე გახანგრძლივდა 14 ივლისისა[17] და 29 დეკემბრის[18] ცვლილებების საფუძველზე), რომლის მიხედვითაც, 2021 წლის პირველ ივლისამდე *„პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით“,* იმ შემთხვევაში, თუკი:

- ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული განაცხადებს თანხმობას;
- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.[19]

საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკრეტის მიღებიდან დღემდე გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, როგორც საკანონმდებლო, ასევე რეგულაციების შესრულების პრაქტიკულ დონეზე. GDI აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მხრიდან პანდემიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების მონიტორინგის პროცესში და ეტაპობრივად აჟღერებდა საკუთარ პოზიციას არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

როგორც საკანონმდებლო მოწესრიგების, ასევე არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ აღწერილმა რეგულაციებმა სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

---

[15] იხილეთ დისტანციური წესით გამართულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიში. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39DINro

[16] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების დოკუმენტი, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3tiHoxW

[17] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების დოკუმენტი, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2YyccNc

[18] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების დოკუმენტი, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3amfpVE

[19] იხილეთ GDI-ის კვლევა "დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში", თბილისი, 2020. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pBy0Dq

ელემენტი - სასამართლო განხილვის საჯაროობა, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რამაც მთელ რიგ შემთხვევებში პროცესის მონაწილეთა უფლებებზე უარყოფითი გავლენა იქონია.

დისტანციურად გამართულ სხდომებზე გარე დამკვირვებლების დასწრების არათანმიმდევრული პრაქტიკა, ზღუდავს რა სხდომათა საჯაროობის პრინციპს, საზოგადოებაში აჩენს საფუძვლიან ეჭვებს მართლმსაჯულების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან და სასამართლო გადაწყვეტილებების „კარს უკან“ მიღებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად არ მიიჩნევს საგანგებო მდგომარეობის პერიოდში სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას, დისტანციურად გამართულ პროცესებზე დამკვირვებელთათვის დასწრების შესაძლებლობის არ მიცემა საჯაროობის პრინციპის შეზღუდვის არათანაზომიერ საშუალებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არ არსებობს ლოგიკური კავშირი დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გამოყენებულ შეზღუდვას შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებული სასამართლო პროცესების დისტანციურ რეჟიმში გადატანა არსებით პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებას ავალდებულებს შესაბამისი ტექნიკითა და სათანადო ინტერნეტკავშირით აღჭურვოს ის სივრცეები, საიდანაც ხდება პროცესში მონაწილე პირების ჩართვა (პენიტენციური დაწესებულებები, სასამართლოს სხდომის დარბაზები). ამის საპირისპიროდ, არაერთი ორგანიზაციის ანგარიშში საუბარია სხდომების დაგვიანებით დაწყებაზე ან გადადებაზე გაუმართავი კომუნიკაციის გამო. ტექნიკური ხარვეზები და ინფრასტრუქტურის გაუმართავობა განსაკუთრებით მძიმე ბარიერებს ქმნიდა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირებისათვის. აღნიშნული დაბრკოლება, პირველ რიგში, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახებოდა უარყოფითად, ვინაიდან ისინი, ერთი მხრივ, მოკლებულნი იყვნენ თავიანთი ინტერესების დამცველთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში ვერ ახერხებდნენ მოწმეთა თუნდაც ვიზუალურ აღქმას ან მათი საუბრის გარჩევას.

მაშინ, როდესაც, შექმნილი ვითარების გამო სხდომების დისტანციურად გამართვა ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ალტერნატივად მიიჩნევა, სახელმწიფო ვალდებულია გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს დისტანციურად გამართულ სხდომებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასთან დაკავშირებული ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში

2019 წელი განსაკუთრებით გამორჩეული იყო უზენაესი სასამართლოსთვის, ვინაიდან მისი შემადგენლობა არსებითად გაიზარდა. საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული შერჩევის პროცესის მარეგულირებელი წესებისა და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს 20 კანდიდატი წარუდგინა, რომელთაგან, საბოლოო ჯამში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 14 მოსამართლე იქნა არჩეული. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული შერჩევის პროცედურის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისა, ისინი მაინც არ იყო სრულყოფილი. პრაქტიკაში მათი გამოყენების შედეგად არაერთი პრობლემა გამოიკვეთა, რომელთა მიმართაც არა მხოლოდ ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გამოთქვეს მწვავე კრიტიკა. ამ კუთხით საყურადღებოა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის ეუთო/ოდირის შეფასების ანგარიში, რომელიც აღნიშნულ პროცესებს აკვირდებოდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ *„საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის სისტემის ბოლოდროინდელი რეფორმები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, თუმცა, სამართლებრივი ჩარჩო არ არის პრევენციული ხასიათის მატარებელი, პროცესზე მიკერძოებული პოლიტიკის გავლენის წინააღმდეგ და არ იძლევა გარანტიას, რომ გადაწყვეტილებების მიღება ობიექტური, დამსახურების შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე ხდება, რაც საერთაშორისო სტანდარტებს და კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.“*[20] *„საკანონმდებლო ჩარჩოში რჩება რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელიც საფრთხეს უქმნის დამსახურების საფუძველზე შერჩევის პროცესს, მათ შორისაა ფარული კენჭისყრის გამოყენება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების ნაკლებობა, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით არასრულფასოვნად გაწერილი დებულებები, თვითნებური გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ გარანტიების არარსებობა, პარლამენტისთვის შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება და ყველა ეტაპზე გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარანტიის ნაკლებობა.“*[21]

2019 წლის დეკემბერში უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლის არჩევის მიმართ შეშფოთება გამოთქვეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა, რომლებიც ასევე აკვირდებოდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს.[22] მათ აღნიშნეს: *„სექტემბერში ვიზიტისას ჩვენ გამოვთქვით შეშფოთება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმართულ გაუმჭვირვალე და*

[20] იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODHIR) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში ივნისი – დეკემბერი 2019, გვ 3. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NZwz3S

[21] იქვე, გვ. 4

[22] იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) შეფასება საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 14 კანდიდატის დანიშვნის შესახებ, 2019. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3reizkX. იხილეთ ასევე: https://bit.ly/2YEsm7D

ნაკლოვან პროცესთან მიმართებით. ამავდროულად დავაფიქსირეთ ჩვენი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პარლამენტი გამოასწორებდა შერჩევის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მათ შორის, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მხოლოდ იმ მინიმალური ოდენობის მოსამართლეების არჩევით, რაც უზენაესი სასამართლოს სათანადო ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა. თუმცა, ახლა ვხედავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა აირჩია 14 კანდიდატი სათანადო დასაბუთების გარეშე, რომელთა შორისაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც არ უჩვენებიათ საზოგადოებისთვის, რომ მათ აქვთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის აუცილებელი სათანადო სამართლებრივი ცოდნა და დამოუკიდებლობა. [23] *"* მომხსენებლებმა ასევე ხაზი გაუსვეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გაზიარების მნიშვნელობასაც პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ერთგვაროვანი კრიტერიუმების გამოყენების, გადაწყვეტილებების სათანადოდ დასაბუთების შემოღებისა და ფარული კენჭისყრის გაუქმების აუცილებლობას.[24]

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევას გამოეხმაურა ევროკავშირის წარმომადგენელიც. მან თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ *„უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცედურა არ წარმართულა ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველზე და ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, მათ შორის გამჭვირვალობის ნაკლებობით, რომელიც ძირს უთხრის ჭეშმარიტად დამსახურებაზე დაფუძნებულ ნომინირების პროცესის არსებობას. შერჩევის პროცედურის განმავლობაში გამოჩნდა, რომ არჩეულ კანდიდატთა ნაწილი არ სარგებლობს ფართო საზოგადოების ნდობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში წარმართული შერჩევის პროცესი გამჭვირვალე იყო, უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მიმართულიყო საბოლოო კენჭისყრამდე იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ იქნენ არჩეული ეს კანდიდატები"*.[25] ევროკავშირის წარმომადგენელმაც მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, რომ იმავე პროცესების დაწყებამდე გადაეხედა შერჩევის პროცედურისთვის და სრულად გაეთვალისწინებინა, როგორც ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, ისე გამოესწორებინა ეუთო/ოდირისა და სხვა დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული ხარვეზები.[26]

ზემოთ აღნიშნული იმედგაცრუება და უარყოფითი შეფასებები გაიზიარა აშშ-ს საელჩომაც. მან თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესის გაუმჭვირვალეობის პრობლემას, რამაც შედეგად ისეთი კანდიდატების ნომინირება გამოიწვია, რომელთა შორისაც „ყველაზე კვალიფიციური

[23] იქვე

[24] იქვე.

[25] იხილეთ ევროკავშირის საგარეო სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cxxy5u

[26] იქვე

კანდიდატები“ სრულად არ იყვნენ წარმოდგენილი. [27] რაც შეეხება საქართველოს პარლამენტში წარმართულ პროცესს, აშშ-ს საელჩოს განცხადებით, იგი ღიად და გამჭვირვალედ წარიმართა, თუმცა, შერჩეულ 14 კანდიდატს შორის იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებმაც საკმარისად ვერ გამოავლინეს სამართლებრივი ცოდნა თუ მიუკერძოებლობის იდეის ერთგულება. [28] შესაბამისად, აშშ-ს საელჩომაც მოუწოდა საქართველოს პარლამენტს პროცესის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეების არჩევამდე.[29]

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესს გამოეხმაურა, ასევე, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა საპარლამენტო მოსმენების პროცესი და მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, არ შეევსო ვაკანტური თანამდებობები სრულად და მოსამართლეთა მხოლოდ ის მინიმალური ოდენობა დაენიშნა, რაც აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს ფუნქციონირებისთვის.[30] გარდა ამისა, კოალიციამ მოუწოდა პარლამენტის წევრებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატის უვადოდ არჩევის გადაწყვეტილების მიღებისას კარგად გაეცნობიერებინათ მათზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა და მხედველობაში მიეღოთ საკომიტეტო მოსმენებზე კანდიდატის მიერ წარმოჩენილი ცოდნა, სამოსამართლო ღირებულებების ერთგულება და მათი უნარ-ჩვევები. [31] თუმცა, როგორც შემდგომში გამოჩნდა, საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩეულ პირთა უმრავლესობა სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან და მმართველ პოლიტიკურ ძალასთან აფილირებულ პირებს წარმოადგენდნენ, რითაც ამ ჯგუფს თავისი გავლენების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოზე გავრცელების შესაძლებლობა მიეცა.

ამ საკითხთან მიმართებით ხაზგასასმელია სახალხო დამცველის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების საკითხიც. [32] აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება 2020 წლის 30 ივლისს გამოიტანა. [33] საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობით „ნიშანი მიეცა“ საკანონმდებლო

---

[27] იხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oGDECX

[28] იქვე

[29] იქვე

[30] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება - https://bit.ly/3j9dCXX

[31] იქვე

[32] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება - https://bit.ly/2M1DkkZ.

[33] იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3aLwQ28

ხელისუფლებისათვის, რომ საჭირო იყო ხარვეზიანი წესის შეცვლა უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პროცესის მისაღებად, რომელიც სათანადო ბერკეტებით იქნებოდა აღჭურვილი მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, სასამართლომ სახალხო დამცველის სარჩელი არ დააკმაყოფილა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვები საკონსტიტუციო სასამართლოზე მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის, ე.წ. „კლანის“ გავლენების გავრცელების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებების შედეგად, 2020 წლის 9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა-ნომინირების პროცესს ახლებურად არეგულირებდა. უფრო კონკრეტულად, ცვლილებები შეეხებოდა:[34]

- ფარული კენჭისყრის გაუქმებასა და მისი ღია კენჭისყრით შეცვლას, რომელიც რეალურად გულისხმობდა არა საზოგადოებისთვის კენჭისყრის ღიაობასა და საჯაროობას, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომლებისთვის ღიაობას. ასევე, ადგენდა კენჭისყრის შედეგების გასაჯაროვების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;
- კანდიდატების ქულებით შეფასების სისტემის შემოღებას, მათ შორის კანდიდატისთვის მინიჭებული ქულისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების დასაბუთების ვალდებულების შემოღებას. თუმცა, საჯაროობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, შემფასებლის ვინაობის კონფიდენციალურად დატოვებას ითვალისწინებდა, მისი დარღვევის შემთხვევაში კი კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატისთვის მიცემული ხმის დასაბუთების ვალდებულების შემოღებას, რა დროსაც, ასევე, კონფიდენციალური რჩებოდა შემფასებლის ვინაობა, მისი გამჟღავნების შემთხვევაში კი პირს ეკისრებოდა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;
- კანდიდატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობის შემოღებას უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებულ ცვლილებების პროექტს გამოეხმაურა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის", რომლის

[34] საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები იხილეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე - https://bit.ly/3c8a6vD

შეფასებით, ცვლილებები იყო ფრაგმენტული და ვერ პასუხობდა შესაბამის გამოწვევებსა და პრობლემებს[35]. იგი არ ითვალისწინებდა 2019 წელს კოალიციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც პროცესის გამჭვირვალობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფდა[36]. მისი შეფასებით ინიცირებული ცვლილებათა პაკეტი არ წამოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს რეალურ მცდელობას მართლმსაჯულების სისტემაში დაფიქსირებულიყო დადებითი ტენდენცია. ეს იყო მხოლოდ ფორმალური ხასიათის შესწორებები, რომელთაც არსებითი გავლენა არ ექნებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში პრობლემათა აღმოფხვრაზე [37] . კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ დამატებით ხაზი გაუსვა, რომ *„შეუძლებელია მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გაუმჯობესება თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების გარეშე”.* [38] ცვლილებები ასევე უარყოფითად შეაფასა სახალხო დამცველმაც. [39] მისი განცხადების თანახმად, *„წარმოდგენილი ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გარკვეულ ასპექტებს, მაშინ როცა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მთავარი რეკომენდაციები კვლავაც არაა გათვალისწინებული”.*[40]

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების ფონზე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, მოეთხოვათ ვენეციის კომისიის დასკვნა ინიცირებული ცვლილებების შესაფასებლად[41], რათა გაზრდილიყო პროცესისადმი სანდოობა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა პარტიამ 2020 წლის 22 სექტემბერს რეკომენდაციის მისაღებად თხოვნით მიმართა ვენეციის კომისიას, იგი არ დაელოდა მის დასკვნას და 30 სექტემბერს, კენჭისყრაში ოპოზიციის მონაწილეობის გარეშე, მიიღო ცვლილებათა პაკეტი. [42] აღნიშნული ნაბიჯი უარყოფითად შეფასდა ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის მიერ.[43] კერძოდ, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის

---

[35] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება - https://bit.ly/36ykWra

[36] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წინადადებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებთან და პროცედურასთან დაკავშირებით, 2019. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LisruU

[37] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება - https://bit.ly/2Lisg2I

[38] იქვე

[39] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3j9yNZO

[40] იქვე

[41] იხილეთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მონიტორების მიმართვა საქართველოს ხელისუფლების მიმართ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით განსახორციელებელ ცვილებების თაობაზე, 2020. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39f5jX2

[42] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3arcyuC

[43] იხილეთ EEAS-ის პრესსპიკერის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით - https://bit.ly/39avuhN

საკითხებში მთავარმა პრესსპიკერმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ *„პროცესში არსებული ხარვეზების გამო ევროკავშირმა და სხვა ძირითადმა დამკვირვებლებმა შეშფოთება არაერთხელ გამოხატეს"*[44] და რომ ეს იყო *"საზოგადოებაში ამ პროცესის მიმართ მეტი ნდობის შექმნის დაკარგული შესაძლებლობა"*[45].

ვენეციის კომისიამ საკუთარი დასკვნა 2020 წლის 9 ოქტომბერს გამოაქვეყნა, სადაც კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ცვლილებათა პაკეტში გათვალიწინებული არ იყო 2019 წლის რეკომენდაციათა დიდი ნაწილი.[46] კერძოდ, ხაზი გაუსვა ფარული კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღების პრობლემურობას, კანდიდატთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის აუცილებლობას, ობიექტური კრიტერიუმების ჩამოყალიბების საჭიროებასა და მათ საფუძველზე შეფასებულ კანდიდატთა ერთგვარი ჯგუფის შექმნის იდეას, რომელშიც კანდიდატები შეფასების მიხედვით განლაგდებოდნენ.[47] გარკვეული ცვლილებები ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა, თუმცა, აღნიშნა, რომ პრობლემურ საკითხად კვლავ რჩებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ანონიმურობა და გადაწყვეტილების ხელმეორედ გასაჩივრების შეუძლებლობა.[48] დასკვნის უკანასკნელ აბზაცში კომისიამ კიდევ ერთხელ გამოხატა მწუხარება იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტი არ დაელოდა მის მიერ მოთხოვნილ დასკვნას და ცვლილებები კონსულტაციის გარეშე მიიღო.[49]

---

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] იხილეთ ვენეციის კომისიის მოსაზრება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით (8-9 ოქტომბერი 2020). ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tk3nEK

[47] იქვე

[48] იქვე

[49] იქვე

თავი II. საკადრო ცვლილებები

2020 წელი გამორჩეული იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში საკადრო ცვლილებების კუთხითაც.

2.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭო

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ მინიჭებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, როგორებიცაა: მოსამართლეთა დანიშვნა (მათ შორის თანამდებობაზე უვადოდ გამწესება) და თანამდებობიდან გათავისუფლება, მათი სხვა სასამართლოში დანიშვნა, დაწინაურება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება განსაზღვრულ შემთხვევებში და ა.შ. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა სწორედ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასულ წელს განვითარებული მოვლენები, ორგანოში, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი. 2020 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მოსამართლე წევრთა ცვლილებები

2020 წლის 14 მარტს, მას შემდეგ, რაც სერგო მეთოფიშვილს[50] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციამ მის ადგილას ნიკოლოზ მარსაგიშვილი[51] აირჩია[52], რომელიც იმ პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზეც იყო დანიშნული.[53] მოგვიანებით, 2020 წლის 30 ოქტომბრის კონფერენციაზე აღნიშნული მოსამართლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნადაც აირჩიეს.[54] საყურადღებოა, რომ ნიკოლოზ

[50] სერგო მეთოფიშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3jjiFoZ

[51] ნიკოლოზ მარსაგიშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3tkyqk6

[52] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2LMlWAQ

[53] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 29 ნოემბრის 1/308 გადაწყვეტილება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KFDGx6

[54] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/361LiBB

მარსაგიშვილი წარსულში მიხეილ ჩინჩალაძესთან ერთად, ერთ პერიოდში მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში, ხოლო მოგვიანებით, 2008-2019 წლებში გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.[55] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იგი სწორედ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაკავშირებული პირია და სავარაუდოდ სწორედ ამ ნიშნით იქნა არჩეული თანამდებობებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი მოსამართლე წევრის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გიორგი მიქაუტაძისა[56] და რევაზ ნადარაიას მიერ თანამდებობის დატოვება/უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.[57] გიორგი მიქაუტაძის, როგორც საბჭოს მდივნისა და წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტა მისი უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევით იყო განპირობებული.[58] ხოლო რევაზ ნადარაიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობის ვადამდე ადრე დატოვების მიზეზად უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის სურვილი და უფლებამოსილების ვადის მოახლოებული დასასრული დაასახელა.[59] თუმცა, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" აზრით, აღნიშნული რეალურად არჩევნების პროცესს უკავშირდებოდა. უფრო კონკრეტულად კი მმართველი ძალის შესაძლო ცვლილების გამო მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ მნიშვნელოვანი და სტრატეგიული თანამდებობების დაკავებას ისახავდა მიზნად.[60]

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს.[61] 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოქმნილი ორი ვაკანტური ადგილის შესავსებად, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ასარჩევად მოსამართლეთა კონფერენცია, ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2020 წლის 30 ოქტომბერს ჩაინიშნა.[62] აღნიშნულის შესახებ განცხადება გაავრცელა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", რომელშიც აღინიშნა, რომ მოსამართლეთა კონფერენციის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ჩატარება და საბჭოს ორი ახალი წევრისა და მდივნის არჩევა, ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლო სისტემაში არსებული კლანი არჩევნებამდე ცდილობს მნიშვნელოვანი, სტრატეგიული და გავლენიანი

[55] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2M4aYH2

[56] გიორგი მიქაუტაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3pys0eT

[57] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/394Jjhy

[58] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2YgBVK5

[59] იხილეთ რევაზ ნადარაიას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი - https://bit.ly/3974rnz

[60] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" განცხადება - https://bit.ly/3iD5nDq

[61] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 65-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[62] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3sN1ssd

თანამდებობების დაკავებას.[63] აღნიშნული უარყოფითად და საზოგადოების ნდობის დამაზიანებლად შეაფასა აშშ-ს საელჩომაც.[64] მიუხედავად ამისა, მოსამართლეთა კონფერენცია ჩატარდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად თეა ლეონიძე[65] და ქეთევან ცინცაძე[66] აირჩიეს.[67] აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ყოფილი დამოუკიდებელი ინსპექტორია, რომელსაც წარსულში სამსახურებრივი კავშირი ჰქონდა მიხეილ ჩინჩალაძესთან. შესაბამისად, იგი მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან აფილირებული პირია. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასზე მოსამართლეთა კონფერენციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს იმჟამინდელი თავმჯდომარე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი აირჩია.[68]

არამოსამართლე წევრის ცვლილება

2020 წლის 21 მაისს ანა დოლიძემ[69] სამოქალაქო მოძრაობა „ხალხისათვის“ დაარსა[70], რამაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩინა კითხვები იმასთან დაკავშირებით, ნიშნავდა თუ არა ეს ქმედება მისი მხრიდან პოლიტიკური საქმიანობის დაწყებას, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით ეკრძალება.[71] კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ამასთან დაკავშირებით გაავრცელა განცხადება, რომელშიც ანა დოლიძეს მოუწოდებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამდებობასთან შეუთავსებელი პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გეგმების არსებობის შემთხვევაში დროულად მიეღო თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება.[72] 2020 წლის 22 ივნისს მან მართლაც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება.[73] ანა დოლიძე სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი თანამოაზრე იყო, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშვნის დღიდან, ნაზი ჯანეზაშვილთან ერთად, აქტიურად იბრძოდა სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წინააღმდეგ, მუშაობდა სისტემაში არსებული პრობლემების გამოვლენისა და

[63] იხილეთ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” განცხადება - https://bit.ly/2NQbp8h

[64] იხილეთ აშშ-ის საელჩოს მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი - https://bit.ly/3c4XyVA

[65] თეა ლეონიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/36qqDY1

[66] ქეთევან ცინცაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2MCdO5O

[67] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3bW99q2

[68] იქვე

[69] ანა დოლიძე - საქართველოს პრეზიენტის, გიორგი მარგველაშვილის მიერ 2018 წლის 8 იანვარს დანიშნული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

[70] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3qKtzXk

[71] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

[72] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება - https://bit.ly/3qUTFXJ

[73] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3o7xBHo

აღმოფხვრისათვის, აჟღერებდა განსხვავებულ, კრიტიკულ აზრს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა.

2020 წლის 22 ივლისს ანა დოლიძის ადგილზე საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, თამარ ღვამიჩავა[74] დანიშნა[75], რომლის შესახებ არათუ საზოგადოებისთვის, არამედ პროფესიული წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობისთვისაც არ იყო ცნობილი. ამასთან, მისი დანიშვნა სრულიად გაუმჭვირვალე პროცედურის შედეგად მოხდა, რაც საკანონმდებლო ხარვეზითაა განპირობებული. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად მისი დანიშვნიდან მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრისა და სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლის, ირაკლი შენგელიას, ნათესავი იყო[76], რაც ორივე მხარემ დაადასტურა.[77] შესაბამისად, აღნიშნულმა საზოგადოებაში გააჩინა ეჭვები თამარ ღვამიჩავას დანიშვნის შესაძლო მოტივებსა და ზემოთ აღნიშნულ ჯგუფთან მის სავარაუდო კავშირთან მიმართებით. თამარ ღვამიჩავას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმიანობასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ დანიშვნის დღიდან 2020 წლის ბოლომდე ის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არცერთი საკითხის ინიციატორი არ ყოფილა. ამასთან, იგი ძირითადად პასიურ მდგომარეობაში ესწრებოდა სხდომებს და მისი აქტიურობა მხოლოდ კენჭისყრისას ხელის აწევით შემოიფარგლებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში, ასევე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურის ფარგლებში კანდიდატებთან საჯარო მოსმენებში, რომელიც 2020 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა, შედარებით მეტად იყო ჩართული შეკითხვების დასმის კუთხით.

2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო

2.2.1. სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა

2019 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოდ მოსამართლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ 14 პირი აირჩია[78]. მათი უმრავლესობა მმართველი პოლიტიკური ძალის ან მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენელი/მასთან აფილირებული პირი იყო. ახლად არჩეულ მოსამართლეებს შორის გახლდათ ნინო ქადაგიძეც[79], რომლის კანდიდატურაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დახურულ კარს

[74] თამარ ღვამიჩავას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3c2aDiA
[75] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3qHid6b
[76] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3bYO2Du
[77] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3sHjP1L, https://bit.ly/2NiY3B0
[78] იხილეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/39VmFr7
[79] ნინო ქადაგიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39zURdb

მიღმა, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციის შედეგად, 2020 წლის 10 მარტს, 12 ხმით წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.[80] კანონის მიხედვით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ჰქონდა ამ პროცესში პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების ჩართვის ვალდებულება, თუმცა, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" შეფასებით, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპი მოითხოვდა, პროცესისთვის მეტი ლეგიტიმაციის მისანიჭებლად და საკითხის მიმართ არსებული მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მასში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას.[81] ნინო ქადაგიძის გარდა კანდიდატად დასახელებული იყო შალვა თადუმაძეც[82], რომელსაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა ეკავა, ხოლო ვიდრე ამ თანამდებობას დაიკავებდა, ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი და ინტერესების დამცველი იყო.[83]

უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ქადაგიძე ერთ-ერთი იმ მოსამართლეთაგანია, რომლის გვარიც ე.წ. „მოსამართლეთა 10-კაციან სიაშიც" იყო შეყვანილი. სიაში, რომელიც ყოველგვარი კრიტერიუმებისა და პროცედურების გარეშე, დახურულ კარს მიღმა, სრულიად გაუმჭვირვალე შერჩევის საფუძველზე შედგა და წარედგინა საქართველოს პარლამენტს 2018 წლის 24 დეკემბერს. ამასთან, კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" შეფასებით, იურიდიულ კომიტეტში საჯარო მოსმენისას ნინო ქადაგიძეს გაუჭირდა სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ შიდა საფრთხეებზე საუბარი და ფაქტობრივად უარყო სასამართლოში გავლენიანი ჯგუფის არსებობა[84]. აღნიშნული გარემოება ამყარებს ეჭვს, რომ იგი ამ ჯგუფთან აფილირებული პირია, რომელიც მისი სათანადო ნდობით სარგებლობს და მისი ინტერესების გამტარებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს პარლამენტს მოუწოდებდა, მხარი არ დაეჭირა ნინო ქადაგიძის კანდიდატურისათვის.[85] თუმცა, 2020 წლის 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა 82 ხმით არცერთის წინააღმდეგ მაინც აირჩია იგი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.[86] ეს ფაქტი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა თავისი გავლენები არა მხოლოდ პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებზე, არამედ საბოლოო ინსტანციის სასამართლოზეც გაავრცელა, რაც

[80] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/394NF8n

[81] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" განცხადება - https://bit.ly/2LYlxuV

[82] იქვე

[83] შალვა თადუმაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3oz7Xvs

[84] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" განცხადება - https://bit.ly/3iCWjhJ

[85] იქვე

[86] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3izmZQi

მნიშვნელოვნად აზიანებს ზეგავლენებისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოს იდეას და, შესაბამისად, ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ნინო ქადაგიძესთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2020 წლის 15 ოქტომბერს იგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩიეს.[87] წინათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობრივად, ავტომატურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც ხდებოდა. თუმცა, 2019 წლის დეკემბერში „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად ეს მიდგომა შეიცვალა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს მიენიჭათ.[88] აღნიშნული ცვლილების მიზანს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძალაუფლების ერთი ადამიანის ხელში კონცენტრაციის გამორიცხვა წარმოადგენდა. აღნიშნულის მიზეზი დიდი ალბათობით სწორედ ნინო ქადაგიძის მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან კავშირი და სხვა წევრებთან შედარებით მისი, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, უფლებამოსილების უფრო ხანგრძლივი ვადა წარმოადგენდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გვევლინება პირი, რომელიც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთანაა აფილირებული და დიდი ალბათობით სწორედ მის ინტერესებს გაატარებს.

2.2.2. სასამართლოს პალატების დაკომპლექტება

2019 წელი გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები საქართველოს პარლამენტს არა საქართველოს პრეზიდენტმა, არამედ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარუდგინა. თუმცა, ამ დროისათვის შერჩევის პროცედურა და კრიტერიუმები „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში არ იყო გაწერილი. როგორც უკვე აღინიშნა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი ბოროტად გამოიყენა და 2018 წლის დეკემბერში სრულიად გაუმჭვირვალედ წარუდგინა საკანონმდებლო ორგანოს ე.წ. „მოსამართლეთა 10-კაციანი სია". სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციური პარტიებისა და მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ძალისხმევის შედეგად, თავდაპირველად წარდგენილმა ათივე კანდიდატმა ერთობლივი განცხადებით მიმართა საკანონმდებლო ორგანოს, არ განეხილათ მათი კანდიდატურები[89], ხოლო საქართველოს პარლამენტმა სათანადო წესი და კრიტერიუმები შეიმუშავა. აღნიშნულის შემდგომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის სექტემბრის დასაწყისში მეორედ

[87] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/363bdZw

[88] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 47-ე მუხლის 2^1 პუნქტი.

[89] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/363tkhZ

წარუდგინა საკანონმდებლო ორგანოს ამჯერად 20 კანდიდატი.[90] უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი კრიტიკულად შეაფასა, როგორც კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის"[91], ისე ეუთო-ოდირმაც.[92] ამასთან, GDI-იმ წარმოადგინა თითოეული კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.[93]

საპარლამენტო მოსმენების შემდეგ, 2019 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა 20 კანდიდატიდან 14-ს დაუჭირა მხარი და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ აირჩია. იმავე თვეში გამართულ უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე ახლადარჩეული 14 მოსამართლე სასამართლოს პალატებში შემდეგნაირად გადანაწილდა[94]:

- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - ნინო ქადაგიძე, მაია ვაჩაძე[95], ნუგზარ სხირტლაძე[96], ქეთევან ცინცაძე და ალექსანდრე წულაძე[97].

- სამოქალაქო საქმეთა პალატა - მირანდა ერემაძე[98], თამარ ზამბახიძე[99], გიორგი მიქაუტაძე, ლევან მიქაბერიძე[100] და ვლადიმერ კაკაბაძე[101].

- სისხლის სამართლის პალატა - შალვა თადუმაძე, მამუკა ვასაძე[102], მერაბ გაბინაშვილი[103] და ლალი ფაფიაშვილი[104].

ამავე სხდომაზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ ნინო ქადაგიძე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა თავმჯდომარედ - შალვა თადუმაძე აირჩიეს.[105] რაც შეეხება სამოქალაქო საქმეთა პალატას, უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 22

---

[90] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3c3ndOC

[91] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" შეფასებები - https://bit.ly/39SVfSR, https://bit.ly/393kYZz

[92] იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის - ეუთო/ODHIR-ის შეფასებები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Y5AJZC, https://bit.ly/3bZqyOr

[93] იხილეთ კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" შეფასება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Y2X7D1

[94] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3o9LbKl

[95] მაია ვაჩაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39u0rO1

[96] ნუგზარ სხირტლაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/36wuWRD

[97] ალექსანდრე წულაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2NXhoYY

[98] მირანდა ერემაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3pGsiQC

[99] თამარ ზამბახიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2Mh5BV2

[100] ლევან მიქაბერიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2MsKPBD

[101] ვლადიმერ კაკაბაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3tgDR3o

[102] მამუკა ვასაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3j5s9nD

[103] მერაბ გაბინაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3j58gNs

[104] ლალი ფაფიაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/36xs7jn

[105] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3o9LbKl

ოქტომბრის სხდომაზე მის თავმჯდომარედ პლენუმმა გიორგი მიქაუტაძე აირჩია.[106] შესაბამისად, მივიღეთ ვითარება, როდესაც სასამართლოსა და პალატების თავმჯდომარეთა თანამდებობები სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან და მმართველ პოლიტიკურ ძალასთან აფილირებულ პირებს უკავიათ, რაც უზენაესი სასამართლოს, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს, არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

2.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

2.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების დანიშვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წლების განმავლობაში, საერთო სასამართლოებისგან განსხვავებით, საზოგადოების გაცილებით მაღალი ნდობით სარგებლობდა, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამდგენი, მიუკერძოებელი სასამართლო. თუმცა, 2020 წელს სასამართლო სისტემაში არსებულმა მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა, თავიანთი გავლენების ამ სასამართლოზე გავრცელებაც შეძლო.

2020 წლის 3 აპრილსა და 29 მაისს, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაცია იყო, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების მოწოდებისა, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე სასამართლოს კვოტით არ დაენიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრები,[107] უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დახურულ კარს მიღმა, დაინტერესებული პირების მონაწილეობის გარეშე, აირჩია ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ხვიჩა კიკილაშვილი,[108][109] ხოლო მოგვიანებით - უზნაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ვასილ როინიშვილი.[110][111] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 7^3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე კანდიდატურები პლენუმს სასამართლოს თავმჯდომარემ, ნინო ქადაგიძემ წარუდგინა. ხვიჩა კიკილაშვილთან მიმართებით ნინო ქადაგიძემ პლენუმის სხდომაზე აღნიშნა, რომ *„უწინარეს ყოვლისა ეს არის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, რომ უზენაეს სასამართლოს კვოტით საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოდგენილი ჰყავდეს ღირსეული კანდიდატი, მან ხაზი გაუსვა მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის პროფესიულ კეთილსინდისიერებას, 14 წლიან სამოსამრთლო საქმიანობას, კვალიფიკაციას და*

[106] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2Y6fHdo
[107] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - https://bit.ly/2Mdpn38
[108] ხვიჩა კიკილაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2MfB6Pf
[109] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3iMOPJf
[110] ვასილ როინიშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39DlJJ9
[111] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2KIK1rG

პოზიციას, რომ იგი არ ასოცირდება არც ერთ ჯგუფთან სასამართლო სისტემაში, და უხმაუროდ და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.”[112] კანდიდატებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ხვიჩა კიკილაშვილი 14-წლიანი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეა,[113] რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი მიქაუტაძის მიერ ქ. გონიოში არასრულწლოვანი პირის ცემის გახმაურებული საქმე განიხილა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.[114] ის ფაქტი, რომ ხვიჩა კიკილაშვილი ამ გადაწყვეტილების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დაინიშნა, სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ მის მიმართ ნდობის გამოცხადების ერთგვარ აქტადაც შეიძლება განვიხილოთ, რომელმაც ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლეთა ამ ჯგუფს თავისი ერთგულება „დაუმტკიცა”.

რაც შეეხება ვასილ როინიშვილს, მას 2009 წლიდან ეკავა მოსამართლის თანამდებობა და 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს.[115] ის მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 18 სექტემბერს დაიწყო.[116] ვასილ როინიშვილი 3 მოსამართლესთან ერთად გადავიდა მოსმენის ეტაპზე[117] და, საბოლოო ჯამში, ის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარადგინა კიდეც საქართველოს პარლამენტში.[118]

ამრიგად, 2020 წელს მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა მოახერხა არა მხოლოდ საერთო სასამართლოების, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოზეც თავისი გავლენების გავრცელება, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

2.3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა

საკონსტიტუციო სასამართლოში 2020 წელს განვითარებულ მოვლენებს შორის აღსანიშნავია, ასევე, სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაც. 2020 წლის 25 ივნისს, მას შემდეგ, რაც ამ სასამართლოში უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ ორი ახალი წევრი დაინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სასამართლოს თავმჯდომარედ 5

[112] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3p6U7S8

[113] იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2KIKaLK

[114] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3o7ISr5

[115] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/39S4h2s

[116] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3c0WP7P

[117] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3qIMXnn

[118] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2Mdqj7E

წლის ვადით მერაბ ტურავა აირჩია.[119] მერაბ ტურავას მხარი პლენუმის 9 წევრიდან 5-მა დაუჭირა, მათ შორის, ახლად დანიშნულმა წევრებმაც - ვასილ როინიშვილმა და ხვიჩა კიკილაშვილმა. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და პირველი კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სწორედ სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაკავშირებული პირი - ვასილ როინიშვილი აირჩია.[120]

მერაბ ტურავას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევაში ახლად დანიშნული წევრების მხარდაჭერამ საზოგადოებაში წარმოშვა ეჭვები ზემოთ აღნიშნულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან გარკვეული თანამშრომლობითი ურთიერთობის არსებობაზე. აღნიშნული ეჭვები გაამძაფრა 2020 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელების არდაკმაყოფილებამ. [121] საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

2.3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის წესთან დაკავშირებით

მოსარჩელის პოზიცია

საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სარჩელებთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ეს უკანასკნელი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს ასაჩივრებდა. მოსარჩელის განმარტებით, ეს წესი *„ფარულ კენჭისყრას ითვალისწინებდა [და, შესაბამისად,] არ მოითხოვდა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ამასთან, [...] იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შებოჭილი არ იყო ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. გარდა ამისა, სადავო ნორმებით დაცული არ იყო კანდიდატის უფლება, საუკეთესოობის შემთხვევაში დაიკავოს საჯარო თანამდებობა.“*[122] მოსარჩელის მტკიცებით, მოქმედი წესი შესაძლებელს ხდიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესის თვითნებურად, კანდიდატთა უფლებების დარღვევის გზით წარმართვას. [123] ამასთან, სახალხო დამცველის მოსაზრებით, *„გადაწყვეტილების ფარულად მიღებას არ გააჩნდა ეფექტური დამზღვევი მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც*

---

[119] იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3aLwQ28

[120] იქვე

[121] იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3p0yq5k. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a1e0Vn

[122] იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილება, საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ I-9. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a1e0Vn

[123] იქვე, I-9.

გამოირიცხებოდა იუსტიციის საბჭოს წევრთა მიერ ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის კრიტერიუმებს. მეტიც, ფარული კენჭისყრის პირობებში შესაძლებელი ხდებოდა, საუკეთესო კანდიდატები არ შერჩეულიყვნენ საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად. იმავდროულად, ფარულობა, ისევე, როგორც დასაბუთების არარსებობა, გამორიცხავდა საბჭოს წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის შემოწმებას, ართულებს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მიკერძოების შემთხვევების გამოვლენის შესაძლებლობას.“ [124] გარდა ამისა, მოსარჩელის მტკიცებით, კონსტიტუციურსამართლებრივი ლეგიტიმაცია მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი პროცედურების საფუძველზე შექმნილ და დაკომპლექტებულ სასამართლოს გააჩნდა, რასაც ეჭვქვეშ აყენებდა გასაჩივრებული წესით გათვალისწინებული პროცედურა. შესაბამისად, იწვევდა პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.[125]

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის არგუმენტები არ გაიზიარა. პლენუმის ოთხმა წევრმა - მერაბ ტურავამ, ევა გოცირიძემ, ხვიჩა კიკილაშვილმა და მანანა კობახიძემ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არასათანადოდ მიიჩნია. შესაბამისად, მხარი არ დაუჭირეს სარჩელის დაკმაყოფილებას. თავიანთ გადაწყვეტილებაში მათ ყურადღება გაამახვილეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეზღუდულ როლსა და *„ხელისუფლების პოლიტიკური განშტოების“* - საქართველოს პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე: *„უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი, მიუხედავად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგინების ეტაპის არსებობისა, არჩევითი თანამდებობის ელემენტებით ხასიათდება“.* [126] შესაბამისად, *„ძირითადი პასუხისმგებლობა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებაზე, ისევე, როგორც უკვე არჩეული მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნაზე, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სწორედ პარლამენტს აკისრია“.* [127] საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული *„გადაწყვეტილების დასაბუთების გაცილებით მეტი საჭიროება“* იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება მთლიანად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება იქნებოდა.[128] გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული *„ის უფლებრივი გარანტიები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი აქვს პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისთვის, ვერ იქნება სრულად რელევანტური და, მით უფრო, იდენტური, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებაში,“*[129] ვინაიდან *„განსხვავებულია, როგორც დასაკავებელი თანამდებობის ფუნქციის არსი,*

[124] იქვე, I-10.
[125] იქვე, I-11.
[126] იქვე, II-22.
[127] იქვე, II-17.
[128] იქვე, II-20
[129] იქვე, II-22.

ასევე, სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე მოსამართლის განწესებაზე უფლებამოსილი კონსტიტუციური ორგანოები და ამ ორგანოთა როლი.“[130]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოსგან არჩეული წევრებით დაკომპლექტებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც კონსტიტუციური ორგანო, სარგებლობს, როგორც საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის ნდობით, ისე - *„საკუთრივ მოსამართლეთა კორპუსის ნდობით“.*[131] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ მოქმედი ანგარიშვალდებულების წესი, სასამართლოს შეფასებით, შეიცავს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფისა და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან მის დამოუკიდებლობის გარანტიებს.[132] ამასთან, თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკი, სასამართლოს მოსაზრებით, კანონით მოთხოვნილი მაღალი კვორუმითაა დაზღვეული.[133]

საკონსტიტუციო სასამართლომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ფარულობისა და დასაბუთებულობის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატთა *„შერჩევის რამდენიმე ეტაპის არსებობა და ყველა ეტაპზე კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის გამოკვლევისა და ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობა, საბოლოოდ, განაპირობებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის კანდიდატთა წარდგენის შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას.“*[134] ამასთან, სასამართლომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა მის კოლეგიურ ორგანოდ ყოფნით გაამართლა[135] და მიიჩნია, რომ მსგავსი მოდელი *„კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხსა და სანდოობას“.*[136] იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ *„კენჭისყრის ფარულობა, ძირითადად, ემსახურება ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას [და] უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები პირის დაცულობას.“*[137]

ოთხი მოსამართლის განსხვავებული აზრი

საკითხი მწვავე განხილვისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა თავად სასამართლოს შიგნით, მოსამართლეთა ნაწილმა არ გაიზიარა კოლეგების შეხედულება კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, რის შედეგადაც 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებას მოსამართლეების თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის,

[130] იქვე, II-22.
[131] იქვე, II-30.
[132] იქვე, II-31.
[133] იქვე, II-32.
[134] იქვე, II-47.
[135] იქვე, II-48
[136] იქვე, II-49.
[137] იქვე, II-51.

გიორგი კვერენჩხილაძისა და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი დაერთო[138]. განსხვავებული აზრის ავტორები პლენუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ, რომ მასში *„არ იქნა გათვალისწინებული პროცესისადმი საზოგადოების ნდობის მნიშვნელობა, უგულებელყოფილია სამოქალაქო საზოგადოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს, რომ სადავო ნორმით დადგენილი პროცედურის ხარვეზები არა მხოლოდ თეორიულად არსებობს, არამედ ასევე მძიმედ გამოვლინდა პრაქტიკაში, რამაც პროცესისადმი ფართო უნდობლობა განაპირობა.“* [139] მათი მოსაზრებით, შერჩევის პროცედურის ღიაობის უმთავრეს მიზანს შესაძლო მიკერძოებულობის თავიდან აცილება წარმოადგენდა.[140] თუმცა, კანონმდებლობა საერთოდ არ შეიცავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ ფარული კენჭისყრისას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმებს[141] და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებდა ანგარიშვალდებულების ხარისხს. [142] მოსამართლეთა შეფასებით, *„მსგავსი მოწესრიგება* [რომელიც არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთების ვალდებულებას] *შეიცავს მნიშვნელოვან საფრთხეებს, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს არარელევანტურ, არასათანადო კრიტერიუმებსა და მოტივებს, ნაკარნახევი იყოს პოლიტიკური გავლენებით, ნეპოტიზმით, პატრონაჟით, ფავორიტიზმით, თვითდაინტერესებით, კორპორატივიზმით, კორუფციით ან თუნდაც კანდიდატების არასწორი შეფასებით.“*[143]

განსხვავებულ აზრში მოსამართლეებმა, ასევე, ყურადღება გაამახვილეს იუსტიციის საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შეფასების მიხედვით ხმის მიცემის ვალდებულების არარსებობაზეც, რაც ფარული კენჭისყრის პირობებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო კანდიდატებისთვის მხარის არ დაჭერასა და მათი ყველაზე სუსტი კანდიდატით ჩანაცვლების შესაძლებლობას იძლეოდა.[144] აღნიშნულით კი, საბოლოო ჯამში, *„არარად აქცევდა საქართველოს მოქალაქის უფლებას, დაიკავოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა.“*[145]

მოსამართლეთა ნაწილმა დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის მნიშვნელობას: *„საზოგადოების რწმენა, რომ მართლმსაჯულება ნამდვილად კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და მიუკერძოებელი პირების მიერ ხორციელდება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლოს ეფექტურობას.*

---

[138] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aREKHg

[139] იქვე, პარ. 3

[140] იქვე, პარ. 61.

[141] იქვე, პარ. 49.

[142] იქვე, პარ. 60.

[143] იქვე, პარ. 56.

[144] იქვე, პარ. 53.

[145] იქვე, პარ. 65.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა უზრუნველყოფდეს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებას. კანონით დადგენილი პროცედურა არ უნდა აღძრავდეს დასაბუთებულ ეჭვებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან, შერჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერებასა და კვალიფიციურობასთან დაკავშირებით. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი მიუკერძოებლად და კვალიფიციურად ხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს კითხვები შერჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან და კვალიფიციურობასთან დაკავშირებით, რაც, საბოლოო ჯამში, საფუძველს გამოაცლის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ.“[146]

სახალხო დამცველის შეფასება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებას განცხადებით გამოეხმაურა სახალხო დამცველი, რომელმაც აღნიშნა: *„უკიდურესად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა და არ გააუქმა ის ნორმა, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი მოსამართლეების წარდგენა მოხდეს საქართველოს პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად. საკონსტიტუციო სასამართლოს 30 ივლისის გადაწყვეტილება აზიანებს საქართველოში მართლმსაჯულების გამჭირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რაც პირდაპირ კავშირშია საქართველოში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან.“*[147]

საყურადღებოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდება. აღნიშნული სარჩელის შემთხვევაში სწორედ ამგვარად წარიმართა მოვლენები. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა აღნიშნული გადაწყვეტილება 8 მოსამართლის შემადგენლობით მიიღო, რომელთა ხმები კენჭისყრის შედეგად თანაბრად გაიყო. [148] ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ: *„ამ საქმეში გადამწყვეტი იყო მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის ხმა, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს, გაუმჭვირვალე პროცედურით სწორედ იმ მოსამართლეთა მიერ შეირჩა, რომლებიც სადავო ნორმების საფუძველზე გამწესდნენ უზენაეს სასამართლოში.“*[149] სახალხო დამცველის მოსაზრებით,

---

[146] იქვე, პარ. 95.

[147] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება - https://bit.ly/2N3U37p

[148] იქვე

[149] იქვე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას ეს ფაქტორი განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებდა და გადაწყვეტილების მიღების მოტივაციასთან დაკავშირებით ეჭვებს აჩენდა.[150]

საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების მნიშვნელობა

ამრიგად, შესაძლოა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივად ხარვეზიანი, გაუმჭვირვალე პროცედურის არსებობისათვის მხარდაჭერის გამოცხადებას წარმოადგენდა, პროცესისა, რომელიც არაერთმა საერთაშორისო თუ ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ უარყოფითად და პროცესისადმი საზოგადოების ნდობის დამაზიანებლად შეაფასა. საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია პროცედურა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტისთვის ისეთი პირების წარდგენის შესაძლებლობას იძლეოდა, რომლებიც რეალურად ვერ აკმაყოფილებდნენ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ეს ცხადად გამოჩნდა 2019 წლის შერჩევის პროცედურით, რომლის ფარგლებშიც კანდიდატები, რომლებიც გამოირჩეოდნენ კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით და რომლებიც საზოგადოების მხრიდან შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობდნენ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეტაპზე გამოეთიშნენ შერჩევის პროცედურას სწორედ მისი მომწესრიგებელი ნორმების გაუმჭვირვალეობის შედეგად. გარდა ამისა, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო საზოგადოებაში იმ ვარაუდების ჩამოყალიბებას, რომ მსგავსი მნიშვნელობის სარჩელის არდაკმაყოფილება საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ თავისი ზეგავლენის გამოყენებას უკავშირდებოდა. თავის მხრივ, ამგვარი პრაქტიკის გაგრძელება კი, საბოლოო ჯამში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც დაუკარგავს საზოგადოების იმ ნდობასა და რეპუტაციას, რომელსაც წლების განმავლობაში „იშენებდა“.

[150] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება - https://bit.ly/2N3U37p

თავი III. მოსამართლეთა გადაადგილება პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში

2020 წელი გამორჩეული იყო პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებს/კოლეგიებს/პალატებს შორის მოსამართლეთა მიგრაციის [151] თვალსაზრისითაც, რა დროსაც საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზები, რომლებიც პროცესების მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების შესაძლებლობას გამორიცხავდა, არაერთხელ იქნა გამოყენებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. მოსამართლეთა მიგრაცია ძირითადად ხორციელდებოდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც კონკურსის გარეშე მოსამართლეთა მიერ სასამართლოს შეცვლის (მათ შორის, ზემდგომ ინსტანციაში დაწინაურების) შესაძლებლობას იძლევა. ამ მუხლის საფუძველზე განსაკუთრებით გახშირებული იყო მოსამართლეთა გადაადგილება 2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით (თუმცა, ეს პროცესი 2020 წლის 9 დეკემბერსაც იქნა ინიცირებული[152]).[153] ჩვენი შეფასებით, ამ მიგრაციის რეალურ მიზანს სასამართლოების ლოიალური მოსამართლეებით დაკომპლექტება წარმოადგენდა. ისინი, მათ შორის, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებსაც უკავშირდებოდა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში, კოლეგიებსა თუ საარჩევნო დავების განმხილველ ვიწრო სპეციალზიაციებში ერთგული მოსამართლეების გადაყვანას ემსახურებოდა. ამ ეჭვს ამძაფრებს ისიც, რომ მიგრირებულ მოსამართლეთა უმრავლესობას სწორედ სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაკავშირებული/აფილირებული ან/და ისეთი მოსამართლეები წარმოადგენდნენ, რომლებიც თანამდებობაზე უვადოდ არ იყვნენ დანიშნული და, შესაბამისად, მოწყვლადი იყვნენ გარეშე ზეგავლენებისადმი. მათ შორის იყვნენ, ასევე, წარსულში გახმაურებული საქმეების განმხილველი მოსამართლეებიც. [154] აღნიშნული მუხლის საფუძველზე სასამართლო შეიცვალეს/პალატებში/კოლეგიებში დაინიშნენ, მაგალითად, ისეთი მოსამართლეები, როგორებიც არიან: დიმიტრი გვრიტიშვილი[155], ვასილ მშვენიერაძე[156],

[151] იხილეთ GDI-ის კვლევა "მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია". ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sGCACi

[152] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბრის 1/221 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39WL9Af

[153] იხილეთ GDI-ის კვლევა "მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია". ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sGCACi

[154] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხილეთ იხილეთ GDI-ის კვლევა "მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია". ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sGCACi

[155] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის 1/111 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iDlv7y

[156] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის 1/112 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3izuNSa

შოთა სირაძე[157], ჯემალ კოპალიანი[158], გოჩა აბუსერიძე[159], შორენა გუნცაძე[160], ირინა ზარქუა[161], მალხაზ ენუქიძე[162], ლუიზა თოდუა[163], ანაიტ ოგანესიანი[164], შოთა ნიკურაძე[165], ნონა ზარქუა[166], ნინო შარაძე[167], ეკა ზარნაძე[168], გიორგი ქაშაკაშვილი[169], დავით ნარიმანიშვილი[170], გიორგი გრატიაშვილი[171], თეიმურაზ სიხარულიძე[172], რომან კუპატაძე[173], პაატა ფხალაძე[174] და გოჩა ფუტკარაძე[175].

რაც შეეხება მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის გზით მოსამართლეთა დანიშვნებს, 2018 წლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსი მხოლოდ 2020

---

[157] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 24 იანვრის 1/10 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Y5Fv9u

[158] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 24 იანვრის 1/11 განკარგულება ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iFxVvN

[159] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/28 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39PHQuO

[160] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/29 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c2r6TR

[161] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/30 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c2NkVW

[162] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/31 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sPcHR1

[163] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/32 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o1h3kk

[164] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/33 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3p8FjCq

[165] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/34 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o3ozLD

[166] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის 1/59 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LMCGbb

[167] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/79 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qI4ufn

[168] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/80 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/397gfpV

[169] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/81 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3p8ZVdP

[170] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/82 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c3Td59

[171] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/83 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2MlYt9a

[172] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/84 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c5a3AH

[173] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/85 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sQEIri

[174] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/86 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qJRh5R

[175] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/87 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3od6M4H

წლის 26 ივნისს გამოაცხადა[176] და 2020 წლის 18 ნოემბერს, დაახლოებით 5 თვის შემდეგ, დაასრულა. [177] კონკურსში მონაწილეობდნენ, როგორც მოქმედი მოსამართლეები, რომელთაც თანამდებობაზე უვადოდ გადანიშვნის მიზანი ამოძრავებდათ, ასევე, ყოფილი მოსამართლეები და სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირებიც. იგი 99 ვაკანსიაზე იყო გამოცხადებული, თუმცა, კონკურსის შედეგად მხოლოდ 36 პირი განწესდა მოსამართლის თანამდებობაზე. მათ შორის უვადოდ დაინიშნენ შემდეგი მოსამართლეები[178]:

- პაატა ქათამაძე [179] (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა);
- ქეთევან მესხიშვილი [180] (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა);
- ვერა დოლიძე [181] (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა);
- ზვიად ესებუა [182] (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია);
- ცისანა სირბილაძე [183] (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია);
- მიხეილ ბებიაშვილი [184] (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია);
- ლევან ბარდაველიძე (ბოლნისის რაიონული სასამართლო);
- შალვა კაკაურიძე [185] (გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია);

---

[176] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3iDBgeZ

[177] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2LYuQuX

[178] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2LYuQuX

[179] პაატა ქათამაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2MQxlje

[180] ქეთევან მესხიშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3tkhGZV

[181] ვერა დოლიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39BiwK5

[182] ზვიად ესებუას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3alxzXw

[183] ცისანა სირბილაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39F9Rqb

[184] მიხეილ ბებიაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2O0emTN

[185] შალვა კაკაურიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2YBnwbo

- ნანა კობახიძე (მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია);
- მორის ფუხაშვილი[186] (მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია);
- რეზო ნადოი (მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დუშეთის მუნიციპალიტეტში)
- მაია შოშიაშვილი[187] (რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში).

რაც შეეხება სამოსამართლეო გამოცდილების არმქონე პირებს, მათთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, წინა კონკურსთან შედარებით უფრო მეტი ასეთი პირი დაინიშნა მოსამართლედ (ჯამში - 24[188]), თუმცა, მათი უმრავლესობა მაინც წინათ სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე კადრია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ის ადამიანები არიან, რომლებიც სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის გარკვეული ხარისხის ნდობით სარგებლობენ.

საყურადღებოა, რომ 2020 წელს პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში სპეციალიზაციის შეცვლის ტენდენციაც შეინიშნებოდა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენელი ან მასთან აფილირებული მოსამართლეების მიერ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 23-ე და 30-ე მუხლების მე-3 პუნქტების საფუძველზე. მაგალითად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (რადგან ხარვეზიანი კანონმდებლობა არ მოითხოვს ამას) პალატები შეიცვალეს მიხეილ ჩინჩალაძემ[189], დიმიტრი გვრიტიშვილმა[190], სერგო მეთოფიშვილმა[191] და ნიკოლოზ მარსაგიშვილმა.[192]

ამრიგად, შესაძლოა ითქვას, რომ 2020 წელი აქტიური იყო პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა გადაადგილების თვალსაზრისით, რაც შესაბამისი კანონმდებლობის ხარვეზების ბოროტად გამოყენების საფუძველზე განხორციელდა სასამართლოების/პალატების/კოლეგიების ისეთი პირებით დასაკომპლექტებლად,

---

[186] მორის ფუხაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3pF88GY

[187] მაია შოშიაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3oGtmD0

[188] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3sPj1YA

[189] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 4 აგვისტოს 1/117 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sK7s4S

[190] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის 1/62 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iH97nh

[191] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის 1/7 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3c6TlRk

[192] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის 1/109 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2MkLNzn

რომელთაც მეტ-ნაკლებად ჰქონდათ სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის გარკვეული ხარისხის ნდობა.

თავი IV. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა

4.1. ზოგადი ინფორმაცია

ქვეყანაში განვითარებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობაზეც მოახდინა გავლენა. 2020 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 35 სხდომა გაიმართა. თვეების მიხედვით სხდომების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:



„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე. აღნიშნული მოწესრიგება „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში 2019 წლის 13 დეკემბრის ცვლილებით გაიწერა. მანამდე კანონში 7-დღიან ვადაზე იყო მითითება, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო თითქმის ყოველთვის არღვევდა. თუმცა, ვითარება არც ამ ცვლილებების შემდეგ შეცვლილა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესმა

საბჭომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიცვა აღნიშნული ნორმა.[193] ასევე, ერთ შემთხვევაში გამოცხადდა სხდომა 2 დღით ადრე. [194] სხდომათა აბსოლუტური უმრავლესობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, კანონის დარღვევით, 1 დღით ადრე ცხადდებოდა. ამასთან, სხდომათა დღის წესრიგებიც სხდომის გამოცხადების დღესვე იდებოდა. სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:



რაც შეეხება განსახილველი საკითხების შინაარსობრივ მხარეს, მათ შორის იყო, როგორც ტექნიკური საკითხები (მაგალითად, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის თანხმობის მიცემა გარკვეული ქმედების განხორციელებაზე, მოსამართლის საცხოვრებელი ბინით ან საწვავით უზრუნველყოფა, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ვადის ამოწურვის გამო, ცნობად მისაღები საკითხები, რომლებზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას არ იღებს, ამა თუ იმ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და ა.შ.), კანონპროექტები და სასამართლო სისტემისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, მიმართული სისტემის გაჯანსაღებისა თუ განვითარებისაკენ, რომლებზეც უშუალოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას (მაგალითად, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ინიცირება, მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირება, უზენაესი სასამართლოს კანდიდატთა შესარჩევ პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები, სასამართლოს / პალატების / კოლეგიების თავმჯდომარეთა დანიშვნა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა კონკურსთან დაკავშირებული საკითხები, დანამატის განსაზღვრა და ა.შ.). ამ ნაწილში სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

[193] იხილეთ 23 იანვრის სხდომის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.

[194] იხილეთ 4 აგვისტოს სხდომის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.



4.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ:

- 6-ჯერ დაიწყო მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გარეშე მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა;[195]

- დაასრულა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი, რომელიც 2019 წლის 26 დეკემბერს[196] გამოაცხადა[197] და კიდევ ერთხელ გამოაცხადა იგივე კონკურსი, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს;[198]

- გამოაცხადა, ჩაატარა და დაასრულა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი[199], რომლის შედეგადაც 99 ვაკანსიიდან მხოლოდ 36 ვაკანსია შეივსო.[200]

---

[195] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული 2020 წლის განკარგულებები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qO43Au

[196] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრის 1/365 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qYsco3

[197] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/2LXnfwI

[198] იქვე

[199] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/89 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Ya5vR7

[200] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3oaUcTv

- 4-ჯერ დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა 17 მარტის (2 ვაკანსიაზე)[201], 7 ოქტომბრის (9 ვაკანსიაზე)[202], 2 ნოემბრისა (1 ვაკანსიაზე)[203] და 20 ნოემბრის (1 ვაკანსიაზე) სხდომებზე.

- 2020 წლის 23 იანვარს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩია ზურაბ აზნაურაშვილი[204], რომელიც მანამდე სათანადო წესისა და კრიტერიუმების შემუშავების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწყებულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევ პირველ პროცედურაშიც მონაწილეობდა. თუმცა, მისმა კანდიდატურამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში არ ყოფილა ნომინირებული.

- 2020 წლის 17 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე.[205]

- 2020 წლის განმავლობაში დანიშნა შემდეგი სასამართლოების/პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეები:[206]

    - თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - მიხეილ ჩინჩალაძე;

    - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - დიმიტრი გვრიტიშვილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადმოსვლამდე ეს უკანასკნელი დანიშნული იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ;

    - ჯერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო რამდენიმე თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა ვასილ მშვენიერაძე (მანამდე ამ სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება,

---

[201] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის 1/27 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39fN1W1

[202] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის 1/134 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NkOOjN

[203] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის 1/138 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LXJVNo

[204] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 იანვრის 1/3 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39d2SEK

[205] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/366KzyW

[206] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე 2020 წელს განთავსებული განკარგულებები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39UtSrK

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, დაკისრებული ჰქონდა სერგო მეთოფიშვილს);

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა შალვა კაკაურიძე[207];
- თბილისის საქალაქო სასამართლო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - ბადრი შონია[208] (მანამდე ამ უკანასკნელს დაკისრებული ჰქონდა ამავე კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - სერგო მეთოფიშვილი;
- თბილისის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - თემურ გოგოხია[209].

გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დანიშნა ხელვაჩაურის, გურჯაანის, ახალციხისა და გორის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეებიც.

4.3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა

როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 4-ჯერ დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა. 17 მარტს დაწყებული პროცესი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2020 წლის 30 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე [210] შეწყდა, რომლითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის მომწესრიგებელი ნორმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. შესაბამისად, ამჟამად შერჩევის სამი პროცესია მიმდინარე.

[207] შალვა კაკაურიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3r9OOBI
[208] ბადრი შონიას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3abfhYM
[209] თემურ გოგოხიას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3tegzej
[210] საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები იხილეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე - https://bit.ly/3c8a6vD

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 17 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტისთვის 2019 წლის 6 დეკემბერს წარდგენილი კანდიდატი, ვასილ როინიშვილი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გახდა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საკანონმდებლო ორგანოს ლევან თევზაძის [211] კანდიდატურა წარუდგინა, [212] რომელიც ვასილ როინიშვილთან ერთად 2019 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე დაწყებულ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობდა. თუმცა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზ [213] , ლევან თევზაძის კანდიდატურა უკან იქნა გაწვეული.[214] ამავე მიზეზით იქნენ უკან გაწვეული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2019 წლის 26 დეკემბერს წარდგენილი კანდიდატებიც: ილონა თოდუა[215], გენადი მაკარიძე[216], ნინო სანდოძე[217], პაატა სილაგაძე[218], გიორგი ტყავაძე[219] და თეა ძიმისტარაშვილი[220].[221]

ამ პროცესებთან მიმართებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2020 წლის 1-ლ დეკემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დადგენილების პროექტი.[222] იგი სწორედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესს შეეხებოდა. როგორც გაირკვა, აღნიშნული დოკუმენტის ავტორი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - დიმიტრი გვრიტიშვილი იყო,[223] რომელიც თავადაც იღებს მონაწილეობას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის ერთ-ერთ მიმდინარე პროცედურაში. [224] შესაბამისად, შეიქმნა იმგვარი ვითარება, რომ კანდიდატმა, რომელიც თავისი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე საერთოდ უნდა ჩამოშორებულიყო ამ

[211] ლევან თევზაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2YC7ii4

[212] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3c5XSmY

[213] საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები იხილეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე - https://bit.ly/3c8a6vD

[214] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/397b4pX

[215] ილონა თოდუას შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39FDgAl

[216] გენადი მაკარიძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3aoOp82

[217] ნინო სანდოძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/3auySDs

[218] პაატა სილაგაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2Mkiiym

[219] გიორგი ტყავაძის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/39GonOl

[220] თეა ძიმისტარაშვილის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://bit.ly/2NPpm6e

[221] იხილეთ საქათველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/3tgiYFq

[222] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დადგენილების პროექტი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39rqVjq

[223] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3j4cuVt

[224] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1-ლი დეკემბრის 1/214 განკარგულება. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oyuUi5

პროცედურას, თავად მოამზადა მისი მომწესრიგებელი წესების პროექტი, რომელიც მოგვიანებით მასთან, როგორც კანდიდატთან მიმართებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტს მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა. კერძოდ, მასში არ იყო პირდაპირი მითითება მოსმენების საჯარო („LIVE“) ტრანსლირების აუცილებლობაზე. [225] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს კანდიდატთან გასაუბრებისათვის გამოეყოფოდა ფიქსირებული დრო, 30 წუთი, რომელიც მხოლოდ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე შესაძლოა გახანგრძლივებულიყო არაუმეტეს 15 წუთისა. [226] ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს ეზღუდებოდა კანდიდატისთვის მისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვის დასმის შესაძლებლობა. [227] შესაბამისად, კოალიციის „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისთვის“ შეფასებით, წარმოდგენილი პროექტი ფორმალურად ვერ უზრუნველყოფდა ღია და გამჭვირვალე პროცესის ჩატარებას, ასევე მნიშვნელოვნად ზღუდავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების აქტიურ ჩართულობას გასაუბრების პროცესში და კანდიდატისთვის საკუთარი მიხედულებისამებრ შეკითხვების დასმას.[228] კოალიციამ შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად,[229] რომლებიც ამ უკანასკნელმა, საბოლოო ჯამში, გაითვალისწინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის 3 პროცედურა მიმდინარეობს. პირველი მათგანის ფარგლებში დარეგისტრირებული კანდიდატების მოსმენის პროცესი 2020 წლის 10 დეკემბერს დაიწყო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს. [230] დეკემბრის თვის მონაცემებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 23 კანდიდატს მოუსმინა, რომელთა უმრავლესობა საერთო სასამართლოების მოსამართლე (მათ შორის 1 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი, რევაზ ნადარაია) იყო.

გასაუბრების ფარგლებში გამოიკვეთნენ, როგორც შედარებით ძლიერი, ისე ნაკლებად ძლიერი კანდიდატები. ამასთან, გამოვლინდა, რომ კანდიდატებს უჭირდათ პასუხის

---

[225] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული დადგენილების პროექტი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39rqVjq

[226] იქვე

[227] იქვე

[228] იხილეთ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ განცხადება - https://bit.ly/3j4fFfR

[229] იქვე

[230] იხილეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - https://bit.ly/36meZNV

გაცემა სამართლის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიტიკული კითხვების მიმართ, რომელთაც უმეტესწილად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, ნაზი ჯანეზაშვილი აჟღერებდა, კანდიდატების ნაწილი, ისევე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი მოსამართლე წევრი გამოირჩეოდა აგრესიული დამოკიდებულებით. უმეტესად ამგვარი ფაქტები ნაზი ჯანეზაშვილის მიერ სასამართლოში ნეპოტიზმის ან/და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის შესაძლო არსებობის ირგვლივ დასმული შეკითხვებთან მიმართებით ფიქსირდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი კანდიდატის მოსმენისას დიმიტრი გვრიტიშვილი შეეცადა „აეცილებინა“ ნაზი ჯანეზაშვილის შეკითხვა. ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებდა დიმიტრი გვრიტიშვილის მიერ მომზადებული ზემოთ მოხსენიებული პროექტი, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საბოლოო რედაქციაში ამგვარი ჩანაწერი ვერ მოხვდა. ამ ინციდენტის დროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - ნინო ქადაგიძემ - სწორედ ამ ფაქტზე მიუთითა მას და სთხოვა თავი შეეკავებინა საბჭოს სხვა წევრების მიერ დასმულ კითხვებში ამგვარი ჩარევისაგან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლის, ქეთევან მესხიშვილის საჯარო მოსმენა, რომლის მიერ გაცემული პასუხები და მოსმენის პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევები იმ მაღალ სტანდარტს სავსებით შეესაბამებოდა, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველს მოეთხოვება. ქეთევან მესხიშვილი პირველი მოსამართლეა, რომელმაც გაბედა და ღიად ისაუბრა სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე. მან აღნიშნა: *„მე ვისურვებდი სასამართლო ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი. სადაც ერთ საკითხს ყველა არ ეთანხმება, სადაც არის აზრთა სხვადასხვაობა, სადაც აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა პოლემიკა, ურთიერთწინააღმდეგობა, ოღონდ პოლემიკა და ურთიერთწინააღმდეგობა არის ხელშეწყობილი და წახალისებული და არა სტიგმატიზებული. ვისურვებდი, რომ ჩემი ქვეყნის სასამართლო იყოს მრავალფეროვანი აზრის გამოხატვის თვალსაზრისით, რომ ყველა აფიქსირებდეს თავის პოზიციას, თავის წინააღმდეგობას. მე არ მინდა, რომ ჩემი სასამართლოს საბჭო ყოველთვის 11 ხმით იღებდეს გადაწყვეტილებას. მე მინდა რომ ჩემი ქვეყნის სასამართლოში სადაც ჩვენ მოსამართლეებმა ავირჩიეთ არა გუნდი არამედ ცალკეული პირები, ინდივიდუალურად იღებდნენ გადაწყვეტილებას.*“[231]

[231] იხილეთ „მინდა ვენდო სასამართლოს!“ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ქარდი ქეთევან მესხიშვილის საჯარო მოსმენიდან - https://bit.ly/3ptFyZ2

თავი V. მნიშნელოვანი საქმეები

პანდემიასთან ერთად, 2020 წელი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წელი იყო და ამ კუთხითაც სასამართლო განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. 2019 წლის ივნისის აქციებიდან მოყოლებული საერთო სასამართლოები აქტიურად იხილავდნენ სხვადასხვა სამოქალაქო აქტივისტების საქმეებს. დაპირებულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომლის გარშემოც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები ერთიანდებოდნენ და მართავდნენ შეკრებებს, თუმცა ამ საპროტესტო აქციების გაგრძელება თითქმის ყველა ჯერზე იდენტური იყო - მმართველი ჯგუფის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების წინააღმდეგ სახელმწიფო საბჭოთა დროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსით მოქმედებდა და საპროტესტო ტალღის ჩახშობას შედარებით ხანმოკლე, თუმცა ინტენსიური დაკავებებით ცდილობდა. ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებისა და ლიდერების შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებას სისხლისსამართლებრივი დევნა ცვლიდა. შესაბამისად, 30-წლიანი ლოდინის შემდეგ მიღებულ „უფრო მეტად პროპორციულ“ არჩევნებს სასამართლო მიმდინარე თუ ე.წ „გაცოცხლებული საქმეებით” შეხვდა.

GDI აქტიურად აკვირდებოდა, როგორც 2019 წლის გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებს[232], ასევე შემდგომში საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებაზე მუშაობის პროცესსა[233] და მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე იმ საქმეებსაც, რომლებსაც აშკარა პოლიტიკური მდგენელი გააჩნდა.

5.1. სამოქალაქო აქტივისტების საქმეები

2020 წლის დადგომას სამოქალაქო აქტივისტთა ნაწილი საქართველოს პარლამენტის წინ გაბერილ საზაფხულო ატრაქციონთან გამართულ აქციაზე შეხვდა. ისინი პარლამენტის წინ მალხაზ მაჩალიკაშვილისა და თორნიკე მამალაძის კარვების აღებასა და მათ ნაცვლად საახალწლო ატრაქციონების გაშლას აპროტესტებდნენ. შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბერს, ღამით პარლამენტის შენობის წინ პოლიციამ 9 პირი დააკავა. სამინისტროს განმარტებით, ისინი დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, რაც გულისხმობს

[232] დეტალური ინფორმაცია 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების, ასევე ამავე წლის 18, 26 და 28 ნოემბერს გამართული აქციების დაშლისა და 2019 წლის 31 დეკემბერს შეკრება-მანიფესტაციის უფლებაში უხეშად ჩარევის შესახებ იხილეთ ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში - გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, ელექტრონულად ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3oCVDLs

[233] იხილეთ GDI-ის განცხადებები : 1. ახალ საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებასთან დაკავშირებით - https://bit.ly/2LDXf98 2. ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებასთან დაკავშირებით - https://bit.ly/3shX5oH 3. მოწოდება საარჩევნო სისტემის ცვლილების მხარდაჭერასთან დაკავშირებით - https://bit.ly/3i3Qtpn

წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცველებისთვის დაუმორჩილებლობას. [234] აღნიშნულ საქმეზე 4 აქტივისტის წინააღმდეგ საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო ერთს - ზურაბ მჟავანაძეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, სიტყვიერი შენიშვნა მიეცა.[235]

სამოქალაქო აქტივისტთა ნაწილი სხვადასხვა დროს, განსხვავებულ ლოკაციებზე მართავდა საპროტესტო აქციებს და ამ გზით გამოხატავდა პროტესტს სახელისუფლებო უმრავლესობის მოქმედებების მიმართ. [236] ამ შემთხვევაშიც, საპროტესტო მუხტის ჩასახშობად ხელისუფლებამ საბჭოთა დროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობის არაკეთილსინდისიერი განმარტება გამოიყენა. მიუხედავად, იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან ამგვარი მოქმედება აშკარა საფრთხეს უქმნის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და მიმართულია საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი მასის გასაჩუმებლად, სასამართლო იზიარებდა სამართალდამცავების მიერ მიცემულ ჩვენებებს და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ სხვადასხვა სიმძიმის სანქციებს იყენებდა.

კრიტიკულად განწყობილი აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების არაერთი მაგალითი ვიხილეთ 2020 წლის ნოემბერში. 2020 წლის 9 ნოემბერს პარლამენტის წინ გამართულ კომენდანტის საათის საწინააღმდეგო აქციაზე ხელისუფლებამ აქციის მონაწილეებს არ მისცა საშუალება, პარლამენტის წინ გასათბობად, შეშა მიეტანათ. როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, ვაჟა სირაძემ განმარტა, შეშის მიტანა სამართალდამცავებმა იმიტომ არ დაუშვეს, რომ მას შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა მოქალაქეებისა და პოლიციელების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის [237] . ეს არგუმენტი ცალსახად მიუღებელია, რადგან შეშა არ წარმოადგენს ისეთ საგანს,

---

[234] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბერს სამოქალაქო აქტივისტთა სასამართლო პროცესის შესახებ - https://bit.ly/2KzLeBx

[235] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბრს დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების სასამართლო პროცესის შედეგების შესახებ - https://bit.ly/3qyncGe

[236] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 17 თებერვალს გამართულ აქციასთან დაკავშირებით - http://tbl.ge/4g7s

1) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 18 თებერვალს გამართულ აქცია-პიკეტთან დაკავშირებით - http://tbl.ge/4gb2, ასევე http://tbl.ge/4gb7

2) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 24 თებერვალს გამართულ აქციასთან დაკავშირებით - https://bit.ly/392AZ1M

3) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სტენსილების გაკეთების გამო სამოქალაქო აქტივისტების დაჯარიმების შესახებ - https://bit.ly/3p4ChPC

4) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 22 ივლისს გამართულ აქციასთან დაკავშირებით - http://tbl.ge/4xvm

5) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 7 ოქტომბერს გამართულ აქცია-პერფორმანსთან დაკავშირებით - https://bit.ly/3sMIcef

6) იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 2020 წლის 5 დეკემბერს გამართუ აქციასთან დაკავშირებით - http://tbl.ge/5am2

[237] იხილეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის, ვაჟა სირაძის განამრტება - https://bit.ly/38XcSBR

რომელზეც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს. შეშა არც თავისთავადაა საფრთხის შემცველი და არც 9 ნოემბრის მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს არ შეუქმნიათ საკუთარი ქმედებებით სამართალდამცველების შეშით დაზიანების საფუძვლიანი ეჭვი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე პოლიციამ დააკავა სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც შეშის მიტანას ცდილობდნენ, მოგვიანებით სასამართლომ კი ორ დაკავებულს ჯარიმა, ერთს კი 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა სამართალდარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე. საგულისხმოა ისიც, რომ დაკავებულებს შორის ერთ-ერთი - გიორგი მჟავანაძე, დაკავების შემდეგ პოლიციელების მხრიდან მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ მიუთითებდა.[238] სამივე დაკავებულის ინტერესებს სასამართლოში GDI იცავდა. გარდა ამისა, 9 ნოემბრის აქციის სხვა მონაწილეები პოლიციამ კომენდანტის საათის გამო 2000 ლარით დააჯარიმა[239]. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ეს არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სამართალდამცველებმა სამოქალაქო აქტივისტებს აქციაზე შეშის შეტანის შესაძლებლობა არ მისცეს, 2019 წლის ნოემბერში რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის მონაწილეებს ასევე ჩამოართვეს შეშა, რაც სახალხო დამცველმა მაშინ შეკრების უფლების უკანონო შეზღუდვად შეაფასა.[240]

აქტივისტები ადმინისტრაციული წესით დააკავეს 2020 წლის 28 ნოემბერსაც. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლების შეხვედრას, კონკრეტულად კი რუსული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც 2019 წლის 20 ივნისის დემონსტრაციას ქართველი ნაციონალისტების ანტირუსული პროვოკაცია უწოდა.[241]

სამოქალაქო საზოგადოებამ აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკასთან დაკავშირებით ღია წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, მაიკ პომპეოსაც, რომელიც 8 ნოემბერს საქართველოში იმყოფებოდა[242] და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროსაც მოისმინა სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.[243]

---

[238] იხილეთ გიორგი მჟავანაძის ადვოკატის განცხადება - https://bit.ly/3itiUxi

[239] სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებულ ანგარიშში - ადამიანის უფლებები საქართველოში 2020. ელექტრონულად ხელმისაწვდომია - https://bit.ly/2Nk288f

[240] იხილეთ სახალხო დამცველის განცხადება აქტივისტებისათვის შეშის წართმევაზე - https://bit.ly/39HuMaY

[241] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3qDJt5H

[242] იხილეთ სამოქალაქო აქტივისტთა ნაწილის ღია წერილი - https://bit.ly/38WWlxR

[243] სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრა მაიკ პომპეოსთან - https://bit.ly/3sB66cB

მნიშვნელოვანია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და საზოგადოებაში არსებული პროტესტის ჩახშობის მცდელობებზე სასამართლომ ადეკვატურად შეძლოს რეაგირება. სამართალდამცავთა მხრიდან საპროტესტო აქციების მონაწილე პირების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების გამოყენების მანკიერ პრაქტიკას სწორედ ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვაზე ორიენტირებულმა სასამართლომ უნდა შეუშალოს ხელი. მსგავსი ტიპის დავების განხილვისას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულ პირებსა და მათი ინტერესების დამცველებს მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება, მოიპოვონ და სასამართლოს წინაშე წარადგინონ სათანადო მტკიცებულებები. ასევე, უშუალოდ პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია შემოწმდეს თავად სამართალმდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მოთხოვნის კანონიერება და სასამართლომ არ იხელმძღვანელოს მოთხოვნის კანონიერების პრეზუმფციით. კრიტიკულად უნდა შემოწმდეს დაკავების ოქმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხომ არ აქვს ადგილი ერთი საპროტესტო აქციის ფარგლებში დაკავებული პირების წინააღმდეგ შედგენილ ოქმებში აბსოლუტურად იდენტური ფაქტობრივი გარემოებების მითითებას. მშვიდობიანი, არაძალადობრივი საპროტესტო აქციების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვნად აუარესებს ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა გადაწყვეტილება მიიღონ საქართველოს კონსტიტუციისა და იმ საერთაშორისო აქტების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული ინდივიდის უფლებას თავისუფლად, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე, არაძალადობრივი ფორმით გამოხატოს საკუთარი პროტესტი.

5.2. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქმეები

საპარლამენტო არჩევნების წლის დასაწყისში ოპოზიციური სპექტრის ლიდერთა ნაწილი ჯერ კიდევ საპატიმრო დაწესებულებებში რჩებოდა. პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ჯერ კიდევ 2019 წლის 25 ივლისს დააკავა პოლიციამ 20-21 ივნისის მოვლენების დროს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის ან მასში მონაწილეობის (სსკ 225-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწილი) საფუძვლით. მის დაკავებას მალევე მოჰყვა საუბარი იმაზეც, რომ ოქრუაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ხელისუფლების მიმართ მისმა კრიტიკულმა განწყობამ და ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მფლობელობაზე პრეტენზიის გამოთქმას უკავშირდებოდა.[244] ციხეში ყოფნის პერიოდში, კერძოდ, 19 ნოემბერს ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი კიდევ ერთ საქმეზე წაუყენეს. ბრალდება შეეხებოდა 2004 წელს ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში

[244] იხილეთ საეთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება - https://bit.ly/3shduJX

სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. პროცესების ამგვარი განვითარება კიდევ უფრო ამძაფრებდა ეჭვს პროკურატურის, როგორც პოლიტიკური ოპონენტების სადამსჯელო ინსტრუმენტის, გამოყენებასთან დაკავშირებით. GDI ეს საქმეც ყურადღებით შეისწავლა და თბილისის საქალაქო სასამართლოს იმჟამინდელ თავმჯდომარეს, ნიკოლოზ მარსაგიშვილს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[245] საბოლოოდ, ირაკლი ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიგი უგულავამ, საპატიმრო დაწესებულებები პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე 2020 წლის 15 მაისს დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილის განცხადებით აღნიშნული გადაწყვეტილება მისი პირადი სურვილიდან გამომდინარეობდა,[246] საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ ეს ყველაფერი მომავალ საპარლამენტო არჩევნებსა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან გაჟღერებულ მოწოდებებთან იყო კავშირში.

ხელისუფლების მიერ ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის გაგრძელებად შეაფასა GDI-მ სხვა არასამთავრობო ორანიზაციებთან ერთად 2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გიგი უგულავას წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი, რომლის თანახმადაც, ოპოზიციური პარტიის ლიდერს საბოლოო სასჯელის სახედ სამი წლით, ორი თვითა და რვა დღით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.[247] აღნიშნულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველიც. საქმეში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ შეცვალა პირველი და მეორე ინსტანციების მიერ დადგენილი განაჩენი. რა თქმა უნდა, საკასაციო ინსტანციის მიერ ქვედა ინსტანციების მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა იმთავითვე კითხვის ნიშნებს არ აჩენს მის კანონთან და სამართლიანობასთან შესაბამისობის კუთხით. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს ახალდანიშნული მოსამართლე - შალვა თადუმაძე იყო, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნული საქმის მეორე ინსტანციაში განხილვისას, ასევე, პროკურატურის მიერ საქმის საკასაციო სასამართლოში გასაჩივრების დროს გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებდა.[248]

2020 წელს სასამართლო სისტემის სხვადასხვა დონეზე გაგრძელდა პოლიტიკური პარტიების ლიდერების არაერთი საქმე. საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. პირველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა

[245] იხილეთ GDI -ის მიერ ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე მომზადებული სასამართლო მეგობრის მოსაზრება - https://bit.ly/2LFEIcG

[246] იხილეთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება გიგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით - https://bit.ly/38DCW4R

[247] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება გიგი უგულავას საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - https://bit.ly/3sfhs5T

[248] იხილეთ სახალხო დამცველის განცხადება გიგი უგულავას მიმართ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით - https://bit.ly/39mzUB3

მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ბრალდების საქმეს. სახალხო დამცველის განცხადებით, მათ მიერ წარდგენილი მოსაზრებები აერთიანებს საქმის მასალების 33 ტომის სრულად გაცნობის შედეგად გამოვლენილ საკვანძო კითხვის ნიშნებს, რომლებზე მსჯელობასაც, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ ყურადღება უნდა დაუთმოს.[249] ხოლო მეორე შემთხვევაში, ომბუდსმენმა საკუთარი მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააცნო ნიკა მელიას საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით. [250] საკონსტიტუციო სარჩელი ინიცირებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენით, რომლის საფუძველზეც, ნიკა მელიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. სწორედ აღნიშნული განაჩენის საფუძველზე შეუწყდა მელიას საპარლამენტო უფლებამოსილება 2019 წლის 12 დეკემბერს. ნიკა მელია იყო კიდევ ერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ბრალდება წარდგენილი ჰქონდა ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის საფუძვლით 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების ფარგლებში. მას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო და სხვა მთელი რიგი შეზღუდვები ჰქონდა დაწესებული. [251] ნიკა მელიას წინააღმდეგ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 3 ნოემბერს მიმართა[252], მას შემდეგ, რაც პარლამენტის წინ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად გამართულ აქციაზე მელიამ ელექტრონული სამაჯური მოიხსნა.[253]

საბოლოოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით 70 ათასი ლარის ოდენობით გირაოს გადახდა დააკისრა (რომელიც მოიცავს წინა განჩინებით შეფარდებულ 30-ათასლარიან გირაოსაც. ანუ დამატებით დაეკისრა 40 ათასი ლარის გადახდა). გარდა ამისა, დამატებითი ღონისძიების სახით გამოყენებული იქნება ბრალდების მხარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე სახელმწიფო საზღვრის დატოვების აკრძალვა. [254] 2020 წლის მიწურულს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერი, მათ შორის ნიკა მელია და ხელისუფლების მისამართით კრიტიკულად განწობილი მედიის გენერალური დირექტორი მათ წინააღმდეგ წარმართული ან მათთან

[249] იხილეთ სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით - https://bit.ly/38ByvHK

[250] იხილეთ სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით - https://bit.ly/3byavam

[251] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 20 ივნისის მოვლენებზე წარმოებული გამოძიებასთან დაკავშირებით - https://bit.ly/3bxyRkg

[252] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3bIxpKD

[253] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3uFmk5t

[254] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3uA8j9b

დაკავშირებული სასამართლო პროცესების ჩანიშვნასთან დაკავშირებით ალაპარაკდნენ[255]. თუმცა ამ განცხადებების გავრცელებიდან მეორე დღესვე ცნობილი გახდა რომ კორონავირუსის გავრცელების გამო მიღებული რეგულაციების შესაბამისად, მათი სხდომები გადაიდო.[256] ნიკა მელიას ზემოხსენებული გირაოს გადახდის ბოლო ვადად 2020 წლის 23 დეკემბერი ჰქონდა განისაზღვრული, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მელიამ უარი განაცხადი აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, საქართველოს პროკურატურას, ვადის გასვლიდან თვენახევრის განმავლობაში, რეაგირება არ მოუხდენია და საქმეს მსვლელობა მხოლოდ 2021 წლის 5 თებერვალს მისცა. შედეგად 2021 წლის 17 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლო ნაციონალური მოძრაობის ლიდერის - ნიკა მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე მოუწია მსჯელობა. არსებული პოლიტიკური კონტექსტისა და შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებდნენ პროკურატურას უარი ეთქვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე.[257] მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარემ მაინც დაუჭირა მხარი მელიასათვის აღკვეთს ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობას, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომაც[258] გაიზიარა. აღნიშნულს მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება [259] და საპოლიციო ძალების მობილიზება ნაციონალური მოძრაობის სათავო ოფისთან[260]. შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ ერთი განცხადება გაავრცელეს და მოუწოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ დაეწყოთ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მანამ, სანამ დაცვის მხარე არ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაძლებლობას.[261] ამავე დღეს, საქართველოს პრემიერ მინისტრის თანამდებობა დატოვა გიორგი გახარიამ, რომლის განცხადებითაც, გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხზე მასსა და მმართველი გუნდის სხვა წარმომადგენლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გახდა[262]. საბოლოოდ სასამართლოს 17 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 23 თებერვალს დილის 7:30 საათზე საქართველოს მთავრობამ საპოლიციო ძალის გამოყენებით ნაციონალური მოძრაობის ოფისში შესვლა დაიწყო. იმ მომენტისთვის შენობაში ნიკა მელიას მხარდასაჭერად სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები და აქტივისტები იყვნენ შეკრებილი. სამართალდამცველებმა მოახერხეს ნიკა მელია დააკავება, რასაც კიდევ ერთხელ

[255] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3aWN0qy
[256] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3q0owAU
[257] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ნიკა მელიას წინააღმდეგ აღკვეთს ღნისძიების შეცვლასთან დაკავშირებით - https://bit.ly/37SoIwd
[258] საქმის განმხილველი მოსამართლე - ნინო ჩახნაშვილი
[259] იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება - https://bit.ly/2ZXCRUc
[260] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/3kFnlGp
[261] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - https://bit.ly/3q6bhPy
[262] იხილეთ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია - https://bit.ly/2O0Jket

კრიტიკული განცხადებით გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები [263] და სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია,[264] ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება[265] და მედიასაშუალებები[266].

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ ყოფილან ერთადერთი, რომელთა წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებაც მიკერძოებულობის ნიშნებს შეიცავდა. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გიორგი რურუას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, სამართალწარმოების პერიოდში გამოვლენილი დარღვევები და არსებული კონტექსტი აჩენდა საფუძვლიან ეჭვს, რომ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. [267] სასამართლომ გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვასა და ტარებას გულისხმობს. პოლიტიკური დევნის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას (ე.წ კარტოგრაფების) საქმე, რაზეც სხვადასხვა მედია საშუალებებთან ინტერვიუების დროს მაღალი პოლიტიკური ტრიბუნიდან ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებებიც მეტყველებს.[268]

5.3. საარჩევნო დავები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის დაძაბულობა არჩევნების დღესაც შენარჩუნდა და კვლავაც არ კარგავს აქტუალობას. ოპოზიციური სპექტრის უმრავლესობა არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და უარს ამბობს მე-10 მოწვევის პარლამენტში შესვლაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საარჩევნო უბანზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა

[263] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - https://bit.ly/3r22oaH

[264] იხილეთ ნინო ლომჯარიას განცხადება - https://bit.ly/3bIUvRg

[265] იხილეთ საერთაშორისო საზოგადოების განცხადებები - https://bit.ly/3uwGA9z

[266] იხილეთ საერთაშორისო მედიასაშუალებების გამოხმაურებები - https://bit.ly/3pZUmOq

[267] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმეზე - https://bit.ly/3nFkPQ2

[268] იხილეთ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების საჯარო განცხადებები, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადება - http://tbl.ge/5574; ქართული ოცნების დეპუტატის გია ვოლსკის განცხადება - http://tbl.ge/5584; პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადება - http://tbl.ge/55cc; ქართული ოცნების აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის განცხადება - https://bit.ly/3k2Oh2a

რაოდენობით გამოირჩეოდა, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ის მაინც არ ასახავდა ამომრჩევლის ნებას. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით[269], ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზემოქმედებას, შემაჯამებელ ოქმებში ბალანსის დაუცველობასა და სხვა დარღვევებს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბოლოო შედეგზე. დაპირისპირება ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების მომხრეებს შორის, არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. 2020 წლის 29 სექტემბერს მარნეულში მომხდარი ფიზიკური ძალადობის დროს რამდენიმე ადამიანი დაშავდა, მათ შორის არის სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი გიორგი მუმლაძე[270] და მედიის წარმომადგენლები. აღნიშნულ ინციდენტს გამოეხმაურა და ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდა სახალხო დამცველმა[271], ისევე, როგორც კოალიციამ მედიის ადვოკატირებისათვის"[272] და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა" (EMC)[273]. წინასაარჩევნო პერიოდში და უშუალოდ არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევები აღნუსხა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" (TI Georgia) და შესაბამისი რეკომენდაციებითაც მიმართა დარღვევების გამოსწორებაზე პასუხმისმგებელ ორგანოებს.[274]

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შეფასებები წარადგინა ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) პრესკონფერენციაზე, ODIHR-ის შეზღუდული სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა, ჯილიან სტირკმა. მისი განცხადებით „არჩევნების დღეს მონახულებულ საარჩევნო უბნების გარკვეულ რაოდენობაზე ჩვენ, ისევე, როგორც ჩვენმა საპარლამენტო პარტნიორებმა, შევამჩნიეთ კოორდინატორები და აქტივისტები, რომლებიც ბევრ საარჩევნო უბანზე ქმნიდნენ დამაშინებელ გარემოს."[275]

ამ მოცემულობაში განსაკუთრებული როლი მიენიჭა სასამართლოს. პოლიტიკური პარტიები გაერთიანებული რესურსითა და სადამკვირვებლო ორგანიზაციები აქტიურად მიმართავდნენ კანონით დადგენილ ზომებს და სხვადასხვა საარჩევნო უბნის მონაცემებს

---

[269] იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების 2020-ის წლის საპარლამენტო არჩევნებს შეფასება - https://bit.ly/3bxvoSM

[270] იხილეთ სადამკვირვებლო ორგანიზაცია 20/20-ის წარმომადგენლის გიორგი მუმლაძის განცხადება - https://bit.ly/3qFGCJy ასევე: გიორგი მუმლაძის შეფასება მარნეულში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით - https://bit.ly/35V7jlt აღნიშნული ინციდენტის ფარგლებში გიორგი მუმლაძე სასამართლომ დაზარალებულად სცნო - https://bit.ly/3o4YX0T

[271] იხილეთ საქართველოს სახლახო დამცველის განცხადება - https://bit.ly/3o2PgQx

[272] იხილეთ კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის განცხადება - https://bit.ly/39PAA21

[273] იხილეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) განცხადება - https://bit.ly/3o3HQfQ

[274] იხილეთ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს განახლებადი ცნობები: საარჩევნო დარღვევები და მათზე რეაგირება - https://bit.ly/3ix5srU

[275] იხილეთ ODIHR-ის განცხადება: კოორდინატორები და აქტივისტები ბევრ საარჩევნო უბანზე ქმნიდნენ დამაშინებელ გარემოს - http://tbl.ge/578i

ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოში ასაჩივრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ იდებოდა კანონდარღვევის ამსახველი ფოტო თუ ვიდეო მასალა, საერთო სასამართლოებმა საჩივართა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი დააკმაყოფილეს, რამაც ვერ უზრუნველყო ამომრჩეველთა ხმების დაცვა.

GDI განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასამართლო სისტემასა და მასში მიმდინარე პროცესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა სპეციალური კვლევა საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა „მიგრაციასთან“ დაკავშირებით[276]. კვლევის ფარგლებში მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის შედეგად ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა საფრთხეებზე და გამოთქვა ვარაუდები, რომლებიც საარჩევნო დავებთან დაკავშირებით არსებობდა. კერძოდ:

- იმავე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაადგილების, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაწინაურების, მორიგეობის სიის შედგენისა და მასში ცვლილებების შეტანის, სპეციალიზაციის ცვლილებასთან, ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმები, ამ მექანიზმების არასათანადოდ, ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. აჩენს რისკს, რომ მათ საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები, კოლეგიები და საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციები სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირებით დაკომპლექტდეს, რომლებიც ამჟამად მოქმედი ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ;

- უკონკურსოდ მოსამართლეთა გადაადგილებები ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში შეინიშნებოდა 3 ყველაზე სტრატეგიულ და გადატვირთულ სასამართლოში, კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ გადაადგილებების რეალური მიზეზი, მაღალი ალბათობით, სწორედ არჩევნებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რამდენადაც, როგორც წესი, ყველაზე მეტი საარჩევნო დავა ძირითადად ამ სასამართლოებში შედის. შესაბამისად, მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ სასამართლოებში ლოიალური მოსამართლეების გადაყვანა;

- იმ მოსამართლეთა უმრავლესობა, რომლებიც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში გადავიდნენ, სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირია. გარდა ამისა,

[276] იხილეთ GDI –ის კვლევა „მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია“ - https://bit.ly/2XzkcNy

თითქმის ყველა მათგანის სახელი უკავშირდება გახმაურებულ საქმეებს, რაც არჩევნების კონტექსტში განსაკუთრებით საგანგაშოა.

დასკვნა

2020 წელი, მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოსთვისაც არაერთი მიმართულებით გამოწვევებით აღსავსე წელი გამოდგა. ამ კუთხით გამონაკლისი არც მართლმსაჯულების სისტემა ყოფილა. ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში აუცილებელი გახდა ცხოვრების ახალ რეჟიმზე გადასვლა, რასაც თან ახლდა ცვლილებები, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვაზე ზრუნვა და ახალი გამოწვევების შესაბამისად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადოდ რეალიზებისათვის საჭირო გარემოს შექმნა.

2020 წელი საყურადღებო იყო სასამართლო სისტემაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების კუთხითაც. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი, მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ პროცესმა დამატებითი ყურადღება და უარყოფითი შეფასება დაიმსახურა იმ ფონზე, რომ ცვლილებები საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2020 წლის 30 ოქტომბერს განხორციელდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარდა, მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის თანამდებობებზეც (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლო, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო) მოახერხა ლოიალური მოსამართლეების გამწესება. ამასთან, გასულ წელს კლანმა ფაქტობრივად თავისი გავლენები არა მხოლოდ საერთო სასამართლოებზე, არამედ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზეც გაავრცელა. ეს ნათლად გამოჩნდა ამ ჯგუფთან აფილირებული 2 მოსამართლის საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშვნითა და ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც კონსტიტუციურად ცნო არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ უარყოფითად შეფასებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ხარვეზიანი პროცედურა.

განვილილმა წელმა, ასევე აჩვენა, რომ ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვისათვის მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება არ არის საკმარისი და მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა პრაქტიკული კუთხითაც. ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მოტივით სხდომებზე დამკვირვებლების დაშვების არათანმიმედვრულმა პრაქტიკამ მართლმსაჯულების გამჭვირვალობის კუთხით კითხვის ნიშნები საფუძველი გახდა და გადაწყვეტილებების

„დახურულ კარს მიღმა“ მიღების შეგრძნება გააჩინა. პრაქტიკული მიმართულებით პრობლემები გამოიკვეთა სასამართლო პროცესების წარმართვის ნაწილში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების მიმდინარეობისას, როდესაც პენიტენციური დაწესებულებებისა და სასამართლოს სხდომის დარბაზების არასაკმარისად აღჭურვის გამო, პროცესში დისტანციურად მონაწილე პირები მოკლებულნი იყვნენ კონფიდენციალური კომუნიკაციისა და პროცესის ფარგლებში გამოსაკვლევი/შესასწავლი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების სრულფასოვნად აღქმის შესაძლებლობას.

ანგარიშში განხილული სასამართლო დავები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის მნიშვნელობას, რომელიც თავისუფალი იქნება ხელისუფლების პოლიტიკური გავლენებისაგან და გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად მიიღებს, ყოველგვარი წინასწარი განწყობებისაგან დამოუკიდებლად.

რეკომენდაციები

2020 წელს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების/ცვლილებების განხორციელება:

- დისტანციურ პროცესებზე მონიტორთა შეუფერხებლად დასწრების უზრუნელსაყოფად კანონმდებლობაში მკაფიო ჩანაწერის გაკეთება, რაც გამორიცხავს საკითხის მოსამართლის შეხედულებისამებრ გადაწყვეტასა და არათანმიმდევრული პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- სხდომის დარბაზები/პენიტენციური დაწესებულებების შესაბამისი ოთახების აღჭურვა სათანადო ტექნიკითა და ინტერნეტკავშირით, რაც ხელს შეუწყობს პროცესში დისტანციურად მონაწილე პირების შეუფერხებლად ჩართვას და მათ მიერ სხდომის დარბაზში მყოფი პირებისა და მიმდინარე პროცედურების სათანადოდ აღქმას. ასევე, მოსამართლეებს შესაძლებლობას მისცემს დარწმუნდეს/გადაამოწმოს პროცესში მონაწილე პირების სანდოობა და მათზე ზეგავნელის მოხდენის რისკების აღმოფხვრას;
- ადვოკატსა და ბრალდებულს/მსჯავრდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- იმ სოციალური ჯგუფებისათვის (ასაკოვნები, სოციალურად დაუცველები) სრულფასოვნად ჩართვის უზრუნველყოფა (საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარებით), რომლებსაც შესაძლოა არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, უნარები ან/და ტექნიკური მოწყობილობები;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის დახვეწა/შეცვლა, იმგვარად, რომ ა) გამორიცხოს მოსამართლეთა კონფერენციაზე ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფზე დომინირება, გავლენის სფეროების ცენტრალიზება და შესაძლებლობა მიეცეს უმცირესობაში მყოფ მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნეს მათი პრეფერენციები; ბ) უზრუნველყოფილი იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად საქართველოს პარლამენტის მიერ კანდიდატის დანიშვნის პროცესის ღიაობა და საჯაროობა, ასევე მათი დანიშვნა განხორციელდეს უფრო მაღალი კონსესუსით;
- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში/პალატებში/კოლეგიებში/ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება, რომელიც გამორიცხავს ხარვეზების ბოროტად გამოყენების შედეგად სასამართლო სისტემისადმი ნდობის დამაზიანებელი გადაწყვეტილებების მიღებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაცული იქნეს საჯაროობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნა და ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებისა და დღის წესრიგის შესახებ განთავსდეს მის ოფიციალურ ვებგვერდზე კანონდებლობით დადგენილი ვადების დაცვით;